პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979
წელი
სამშაბათი
11
დეკემბერი
№ 284
(17629)
□
ფასი
2 კაპ.

საინფორმაციო ცნობა
საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

10 დეკემბერს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებულ მითითებათა შესრულების საქმეში.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

პლენუმზე მოისმინეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დ. ლ. ქართველიშვილის და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის ფ. ა. ანანიაშვილის ინფორმაციები საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტისა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის, საქართველოს სსრ 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და საქართველოს სსრ 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

შემდეგ დაიწყო კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. დ. გაბუნია, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ვ. ი. ალავიძე, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის მეყალიბე ა. მ. პლუჟნიკოვი, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. დ. რუხაძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ო. ნ. სულაძე, საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. დ. გულუა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. ჩხეიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორი ფ. ნ. თავაძე, კვაისის ტყვია-თუთიის მადაროთსამმართველოს დირექტორი ე. კ. დიაკონოვი, საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი გ. შ. კვანტალიანი, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. უნგიაძე, საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი კ. ი. ქაჯაია, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი ლ. გ. ვარდოსანიძე.

პლენუმმა ძირითადად მოიწონა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმისა და რესპუბლიკის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზ. ა. პატარიძის ინფორმაცია სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით საქართველოს სს რესპუბლიკაში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომპლექსური პრობლემებისადმი მიძღვნილი პირველი რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შედეგების შესახებ.

პლენუმმა დაამტკიცა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით საქართველოს სს რესპუბლიკაში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომპლექსური პრობლემებისადმი მიძღვნილი პირველი რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ღონისძიებანი.

ამით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა. (საქინფორმი).

ხუთწლედი

წარმატებით დავამთავროთ სამეურნეო წელი

შეჯიბრება

მუშური დანამატი — გეგმას

შემხვედრი გეგმა, რომელიც თბილისელმა ელმავალმშენებლებმა შეიმუშავეს მომავალი წლისათვის, მათ შესაძლებლობას მისცემს გაისად 12-ით მეტი ელმავალი დაამზადონ წლევანდელთან შედარებით.

იმ დღეებში, როცა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კოლექტივი მეათე ხუთწლედის უკანასკნელი წლის საწარმოო პროგრამას განიხილავდა, მოწინავე მუშებმა ვ. გობეჯიშვილმა, მ. გორგაძემ და გ. ჩადუნელმა შეიტანეს წინადადებანი, რომელთა განხორციელების მეოხებით იმავე ფართობებზე, კაპიტალური დანახარჯების გაუწევლად შეძლებენ დამატებითი პროდუქციის დამზადებას.

გეგმასთან დაკავშირებით ყველა საამქროში შეჰქონდათ წინადადებები. მშრომელებმა გადაწყვიტეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მითითებათა შესაბამისად 1980 წელი გადააქციონ დამკვრელური მუშაობის, ლენინური მუშაობის წლად. თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის კოლექტივის მიერ დაზოგილი სულ ერთი წუთი უზრუნველყოფს 500 მანეთის პროდუქციის დამატებით გამოშვებას. ხოლო ნოვატორთა ჯგუფის წინადადებამ [illegible] საწარმოო დანადგარებით — ხუთი წუთით შეამცირებინებს ტექნოლოგიური ოპერაციების ხანგრძლივობას.

მუშათა მეორე ჯგუფმა წინადადება წამოაყენა გამოიყენონ თითოეული ჩარხის ეგრეთ წოდებული „ეფექტიანობის პასპორტები". ასეთი „პასპორტები", რომლებშიც აღინუსხება ცალკეული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების მიზეზები, მათი აღმოსაფხვრელად განხორციელებული ღონისძიებები, ყოველი მუშისა და მთელი კოლექტივის საქმიანობის ერთგვარი სარკე გახდება.

ელმავალმშენებლებმა გადაწყვიტეს მკაცრი კონტროლი დააწესონ პროდუქციის ხარისხს და მისი გაუმჯობესებისათვის ზრუნვა ერთ-ერთ ცენტრალურ მაჩვენებლად გადააქციონ შემხვედრ გეგმაში. ახალ ფორმებს იძენს შეჯიბრება დევიზით: „თბილისური — ნიშნავს საუკეთესო!". ელმავალი „ვლ-11" წარდგენილია სახელმწიფო ხარისხის ნიშანზე. (საქინფორმი).

ვადაზე ერთი წლით ადრე

ბათუმი, 10 დეკემბერი. (საქინფორმის კორ.). სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისათვის ბრძოლაში სახელოვანი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს აჭარის ასსრ მეციტრუსეებმა. 10 დეკემბერს ვადაზე ერთი წლით ადრე მათ შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა. დამზადებულია 404.999 ტონა მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი, ნაცვლად ხუთწლიანი დავალებით გათვალისწინებული 402.405 ტონისა. ამგვარად ციტრუსის კრეფის მეათე ხუთწლედის გეგმა რეალიზებულია 100,6 პროცენტით.

ციტრუსის კრეფაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ხელვაჩაურის რაიონის სოფლების თხილნარის, ჰარნალისა და ახალშენის კოლმეურნეობებმა, გონიოს, თხილნარის, სალიბაურის საბჭოთა მეურნეობებმა, ქობულეთის რაიონის სოფლების ბობოყვათისა და ზედა ულიანოვკის კოლმეურნეობებმა, კვირიკეს საბჭოთა მეურნეობამ და სხვა მეურნეობებმა.

ციტრუსის კრეფა გრძელდება. მიღწეული წარმატებით ფრთაშესხმულმა აჭარის მეციტრუსეებმა ახალი ვალდებულება იკისრეს. მათ გადაწყვიტეს მიმდინარე სეზონის დამლევამდე კიდევ 50 ათასი ტონა ნაყოფი მოკრიფონ. სულ წელს მოიკრიფება 170 ათასი ტონა მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი, ნაცვლად ადრე გათვალისწინებული 130 ათასი ტონისა.

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთორმეტე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთორმეტე სესია გაიხსნება დღეს, **11 დეკემბერს, დილის 9 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.**

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში მოცემულ მითითებათა შესრულების საქმეში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე 1979 წლის 10 დეკემბერს

ამხანაგებო!

დღეს ჩვენ შევიკრიბეთ, რათა ვიმსჯელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის შედეგებზე, სადაც განიხილეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები და მიიღეს შესაბამისი დადგენილებანი და კანონები.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგების განხილვისას ჩვენ ამასთანავე უნდა განვსაზღვროთ ის ამოცანებიც, რომლებიც რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას ეკისრება პლენუმის გადაწყვეტილებებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შესაბამისად.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გამოსვლაში ღრმად, ყოველმხრივ არის გაანალიზებული ხუთწლედის ოთხი წლის შედეგები და მისი დამამთავრებელი წლის გეგმები, ღირსეული შეფასება ეძლევა ყოველივე მიღწეულს, დასახულია ნაკლოვანებათა დაძლევის გზები, განსაზღვრულია თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ახალი კანონზომიერებანი. ეს შესანიშნავი, მეცნიერულად დასაბუთებული, ღრმად არგუმენტირებული სიტყვა არის განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემათა მარქსისტულ-ლენინური ანალიზის ნიმუში, იგი აზოგადებს კომუნისტური მშენებლობის თეორიას და პრაქტიკას. ლეონიდ ილიას ძის გამოსვლის ყოველი დებულება უთუოდ იქცევა მატერიალურ ძალად და აამოძრავებს ქვეყნის გიგანტურ საწარმოო ძალებს, ვინაიდან ეს დებულებანი ასახავს და აზოგადებს ყოველივე იმას, რაც ახარებს, აწუხებს და აღელვებს კომუნისტებს, მშრომელებს.

ლეონიდ ილიას ძის ყოველი სიტყვა სწვდება თითოეული საბჭოთა ადამიანის გონებასა და გულს. და ეს იმიტომ, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას განასხვავებს ისეთი ნიშნები, როგორიც არის უღრმესი გულახდილობა ხალხის წინაშე და ხალხისადმი მიმართვის ნდობით სავსე ტონი; სიმტკიცე და გაბედულება შეცდომებისა და ხარვეზების გამოვლენაში; კრიტიკული შენიშვნების პერსონალური მიმართულობა; არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევისა და აღმოფხვრის ოპტიმისტური რწმენა; სიზუსტე და კონკრეტულობა შემდგომი განვითარების მორიგი ამოცანებისა და პერსპექტივების განსაზღვრაში, ერთი სიტყვით, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის გამოსვლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე — ეს არის **საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისათვის პარტიისა და ხალხის მზადების ვრცელი, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა.**

I.

როცა მიღწეულის შედეგებს ვაჯამებთ და მომავლის ამოცანებს ვსახავთ, გვინდა განსაკუთრებით გავუსვათ ხაზი იმას, რომ რაც უფრო ვუახლოვდებით მეათე ხუთწლედის ფინიშს, მით უფრო მეტად გვმართებს რაც შეიძლება ზუსტად შევაჯეროთ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარეობა დასახულ მიჯნებს, სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს.

იმას, თუ რამდენად წარმატებით ხორციელდება საბჭოთა საქართველოს დაჩქარებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური პროგრამა, მოწმობს უწინარეს ყოვლისა ის, რომ გაიზარდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი, რომელიც წინასწარი გაანგარიშებით, ოთხ წელიწადში თითქმის 30 პროცენტით მომატებს, ხოლო რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული ეროვნული შემოსავლის მოცულობა 32,4 პროცენტით გადიდდება, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ხუთწლედის დავალებებით გათვალისწინებულს.

დასახულზე მეტი იქნება ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მატების ტემპიც: 28,9 პროცენტი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 17,8 პროცენტის ნაცვლად, რაც კიდევ უფრო ამცირებს რესპუბლიკის ჩამორჩენას საშუალო საკავშირო დონისაგან სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ამ უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის მიხედვით.

რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებას ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე ახასიათებს **უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო პროპორციების სრულყოფა,** რასაც მოწმობს ეროვნული შემოსავლის წილის ზრდა ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში, აგრეთვე ინდუსტრიული დარგების — მრეწველობისა და მშენებლობის — ხვედრითი წილის გადიდება ერთობლივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის სტრუქტურაში. ამის შედეგად ამაღლდა შრომითი რესურსების დასაქმების დონე და საზოგადოებრივ მეურნეობაში დამატებით ებმება 180 ათასი კაცი, მათ შორის მატერიალური წარმოების დარგში — 69 ათასი კაცი.

უპირატესი ტემპით ვითარდება **მრეწველობა,** რომელიც უკვე 1 სექტემბრისათვის თითქმის მიუახლოვდა ოთხი წლის მიჯნას, რის მეოხებითაც მრეწველობის პროდუქციის მოცულობა, წინასწარი შეფასებით, გაიზრდება არა 26,8 პროცენტით, როგორც ეს დასახული იყო, არამედ 29,2 პროცენტით ანუ 2,4 პუნქტით, ეს კი ნიშნავს, რომ ოთხი წლის საწარმოო პროგრამა 646,5 მილიონი მანეთით გადაჭარბებით შესრულდება.

განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდება მანქანათმშენებლობა და, უწინარეს ყოვლისა, მისი ისეთი პროგრესული არალითონტევადი დარგები, როგორიც არის ხელსაწყოთმშენებლობა, რადიოტექნიკური და ელექტრონული; აგრეთვე ნავთობმომპოვებელი მრეწველობა.

წარმატებით სრულდება სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ოთხი წლის პროგრამა. „ბ" ჯგუფის პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობა მიმდინარე წელს 1975 წელთან შედარებით გაიზრდება 28,3 პროცენტით ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 25,1 პროცენტის ნაცვლად. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების უპირატესი ზრდა შეიმჩნევა მძიმე მრეწველობის საწარმოებში, სადაც მათი გამოშვება ოთხი წლის მანძილზე 35,4 პროცენტით გადიდდება.

მრეწველობის განვითარების წარმატებებს თავისი მტკიცე საფუძველი აქვს. ეს გახლავთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, წარმოების ეფექტიანობისა და ინტენსიფიკაციის ამაღლება და, უწინარეს ყოვლისა, შრომის ნაყოფიერების ზრდა. ოთხი წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი, როგორც დასახული იყო, გაიზრდება 22 პროცენტით და ამის შედეგად მივიღებთ წარმოების მოცულობის საერთო მატების 80,8 პროცენტს.

სერიოზული ძვრები მოხდა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში. წელს გამოვუშვებთ ორი ათასამდე ხარისხისნიშნიან ნაწარმს, ანუ რვაჯერ მეტს 1975 წელთან შედარებით. წარმოების საერთო მოცულობაში კი ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი შეადგენს დაახლოებით 18 პროცენტს, ხუთწლედის დამდეგს კი ეს მაჩვენებელი 2,1 პროცენტს უდრიდა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით არცთუ ისე დიდი ხნის წინათ რესპუბლიკა სერიოზულად ჩამორჩებოდა საშუალო საკავშირო დონეს, ახლა კი ამ მაჩვენებელთაგან ბევრის მიხედვით ქვეყანაში მოწინავე პოზიციებს მიაღწია.

არსებითი წარმატებანია მოპოვებული **სოფლის მეურნეობის** განვითარებაში, რის შესახებაც ჩვენ ერთობ დაწვრილებით ვილაპარაკეთ პარტიულ-სამეურნეო აქტივის ამასწინანდელ კრებაზე, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ". საგრძნობლად იზრდება **ათვისებული კაპიტალური დაბანდებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობა.** საექსპლოატაციოდ გადაეცა თბილისის მეტროპოლიტენის მეორე რიგი, მწყობრში ჩადგა გადამამუშავებელი მრეწველობის დიდი საწარმოები, მეცხოველეობის კომპლექსები. ასამოქმედებლად მზადდება ამიაკის, ამონიუმის გვარჯილის, სუსტი აზოტმჟავას საწარმოო სიმძლავრენი რუსთავის ქიმიურ ქარხანაში, ენგურჰესის მეოთხე აგრეგატი, იმერის სამსხვრევ-სახარისხებელი ქარხანა და სხვა დიდი ობიექტები.

მნიშვნელოვნად გაიზარდა საბინაო-კომუნალური, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა. ოთხი წლის განმავლობაში მობინადრეებს ჩაბარდება 6,5 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, რაც 100 ათას ოჯახს გააუმჯობესებინებს საბინაო პირობებს.

შარშან, 1972 წელთან შედარებით, 1,8-ჯერ მეტი ძირითადი ფონდები ამოქმედდა. ამ ბაზაზე გაიზარდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, სხვა დარგების მუშაკთა ფონდშეიარაღება. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ფონდშეიარაღების ზრდა ახალ, პროგრესულ საფუძველზე მიმდინარეობს. უკანასკნელი 7-8 წლის მანძილზე წარმოებაში დაინერგა 450-ზე მეტი ახალი ტიპის მანქანა-მოწყობილობა, აპარატი, ხელსაწყო, ავტომატიზაციის საშუალება. საწარმოოდ ათვისებულია და უკვე გამოდის 800-ზე მეტი ახალი სახეობის მრეწველობის პროდუქცია, მოდერნიზებულია დაახლოებით 7.000 ერთეული საწარმოო მოწყობილობა.

კიდევ უფრო განვითარდა **რესპუბლიკის მეცნიერება და კულტურა.** ბევრი რამ გაკეთდა **მომსახურების სფეროს დარგებში.**

განუხრელად მაღლდება **ხალხის ცხოვრების დონე,** და ეს თავის განზოგადებულ გამოხატულებას პოულობს ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლის ზრდით, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში 18,3 პროცენტით გადიდდა ხუთწლიანი გეგმით დასახული 17,1 პროცენტის ნაცვლად.

ამრიგად, ხუთწლედის ოთხი წლის მთავარი შედეგი ის არის, რომ შემდგომი დაჩქარებული საერთო-ეკონომიკური და ინდუსტრიული ზრდის და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე რესპუბლიკაში უზრუნველყოფილი იქნება ხუთწლიანი გეგმის დავალებათა მნიშვნელოვანი გადაჭარბება ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი სინთეზური მაჩვენებლების მიხედვით, რაც საჭირო პირობებს შეგვიქმნის საერთოდ მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის.

II.

დღეს ჩვენ მოვისმინეთ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. დ. ლ. ქართველიშვილისა და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის ამხ. ფ. ა. ანანიაშვილის ინფორმაციებს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შესახებ. დაწვრილებითი მასალები ამ საკითხებზე დაურიგდათ პლენუმის მონაწილეებს. ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ და გეტყვით მხოლოდ, რომ გეგმის პროექტით განსაზღვრულია 1980 წლის მთავარი ამოცანა — **უზრუნველვყოთ მეათე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით და მტკიცე ბაზა შევუქმნათ მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის საწარმოო ძალების დაჩქარებულ ზრდას მატერიალური წარმოების ყველა დარგის დინამიკური და პროპორციული ზრდისა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების საფუძველზე.**

1980 წლის გეგმის პროექტით გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გადიდდეს რესურსები, რომლებიც მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ გაფართოებას ხმარდება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ **ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა უმნიშვნელოვანესი განმაზოგადებელი მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შესრულდება ხუთწლიანი გეგმის დავალებანი.** ხუთი წლის მანძილზე ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობის მატების ტემპი ხუთწლიანი გეგმით გაანგარიშებულს გადაამეტებს 2,9 პუნქტით, წარმოებული ეროვნული შემოსავლისა მთლიანად 7,3 პუნქტით, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით — 9,5 პუნქტით. ეს ნიშნავს, რომ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს რესპუბლიკის თითოეულ მცხოვრებზე გაანგარიშებით შეიქმნება მესამედით მეტი მატერიალური დოვლათი, ვიდრე 1975 წელს.

საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი განვითარების მაგისტრალური გზაა მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების მატება ხუთწლიანი გეგმით გაანგარიშებულს გადააჭარბებს 5,5 პუნქტით, ხოლო ფონდუკუგებისა მთელ სახალხო მეურნეობაში — 4,5 პუნქტით. საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია და მისი სტრუქტურის სრულყოფა ხუთი წლის მანძილზე უზრუნველყოფს მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის მასალატევადობის შემცირებას 3,9 პროცენტით, რაც ეროვნული შემოსავლის თითქმის 347 მილიონი მანეთით მატების ტოლფასია.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ასეთი დაჩქარებული ზრდის შედეგად მოხდება მისი **მნიშვნელოვანი დაახლოება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშუალო საკავშირო დონესთან, გაიზრდება საბჭოთა საქართველოს წვლილი საერთო-საკავშირო დოვლათში.** მაგალითად, თუ 1975 წელს ჩვენში წარმოებული ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საერთო-საკავშირო მაჩვენებლის 76,7 პროცენტს შეადგენდა, 1980 წელს იგი 84,1 პროცენტამდე გაიზრდება, მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მიხედვით იგი შესაბამისად 64,6-დან 70,5 პროცენტამდე მოიმატებს; სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის ხაზით კი 79,1-დან 85,2 პროცენტამდე გადიდდება.

სამრეწველო წარმოების მატების ტემპმა მთლიანად ხუთი წლის მანძილზე აუცილებლად უნდა შეადგინოს 41 პროცენტი. ამისათვის კი საჭიროა 1980 წლისათვის დაგეგმილი მოცულობის დამატებით ვაწარმოოთ 140-150 მილიონი მანეთის პროდუქცია.

მაღალ მიჯნებს უნდა მიაღწიოს ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ჩვენმა **სოფლის მეურნეობამ,** რის შედეგადაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების საშუალო წლიური წარმოება მეათე ხუთწლედში მეცხრე ხუთწლედთან შედარებით გაიზრდება 34 პროცენტით, ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 29 პროცენტისა; შრომის ნაყოფიერება გადიდდება 41 პროცენტით, გეგმით კი 40 პროცენტია ნავარაუდევი.

ოთხ წელიწადში გადაჭარბებით შესრულდა ციტრუსის დამზადების ხუთწლიანი გეგმა, ჩვენს სახელოვან მეჩაიეებს კი თავიანთი ხუთწლედის შესასრულებლად მხოლოდ 21 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი დააკლდათ.

ჩვენ ყველანი, საქართველოს კომუნისტები, რესპუბლიკის მშრომელები დიდად გაგვახარა იმან, რომ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ყაზახეთის მხნელ-მთესველებთან, აზერბაიჯანისა და მოლდავეთის სოფლის მშრომელებთან, უზბეკეთის, თურქმენეთისა და ტაჯიკეთის მბამბეებთან, ბელორუსიის მეკარტოფილეებთან ერთად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ქართველი მეჩაიეებიც მოიხსენია და თქვა, რომ მათ კარგ შედეგებს მიაღწიეს. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელთა მიღწევები პირველად აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. ეს ფრიად ნიშანდობლივია და ამასთანავე ყოველ ჩვენგანს ბევრს ავალებს.

გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით მიეყიდება 400 ათას ტონაზე მეტი ჩაი, 200 ათას ტონაზე მეტი ციტრუსი, 120 ათას ტონაზე მეტი მარცვლეული, 150 ათასი ტონა კარტოფილი, 90 ათასი ტონა ბოსტნეული, დაახლოებით 10 ათასი ტონა ხორცი, 30 ათასი ტონა რძე და დიდძალი სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

ამასთანავე სერიოზულ შეშფოთებას იწვევს წინასწარი პროგნოზები, რომელთა მიხედვით ყურძნის დამზადების ხუთწლიანი გეგმის შესრულებას შეიძლება დააკლდეს დაახლოებით 100-120 ათასი ტონა, აგრეთვე მთლიანად ვერ შესრულდეს თამბაქოს, მზესუმზირას, სოიისა და კვერცხის დამზადების გეგმა. სულ ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში დაგეგმილზე ნაკლები იქნება წარმოებული, ხაზს ვუსვამ, ნაკლები იქნება წარმოებული 856,6 ათასი ტონა მარცვლეული, 34,5 ათასი ტონა მზესუმზირა, 324 ათასი ტონა ხილი, 504 მილიონი ცალი კვერცხი.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანა ის არის, რომ მეათე ხუთწლედის დარჩენილ პერიოდში მთლიანად დაძლიონ ან მაქსიმალურად შეამცირონ განსხვავება, რომელიც შეიძლება ხუთწლიანი გეგმის ცალკეულ დავალებათა შესრულებაში გაჩნდეს.

1980 წელს გაიზრდება სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და ტექნიკური სრულყოფისათვის გამოყოფილი სახსრები. დასახულია კაპიტალური მშენებლობის ვრცელი პროგრამა, რომლის განხორციელებაზე მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული არა მარტო მიმდინარე ხუთწლედის წარმატებით დამთავრება, არამედ რესპუბლიკის საწარმოო ძალების დაჩქარებული ზრდაც მეთერთმეტე ხუთწლედში. მარტო წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების შედეგად შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზრდება 3,4 პროცენტით, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში დასახულ ღონისძიებათა დანერგვის წლიური ეკონომიკური ეფექტი 1979 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 10 მილიონი მანეთით გადააჭარბებს, ხოლო შედარებით გამოთავისუფლებულ მუშაკთა რიცხვი 10 ათასს გადაამეტებს.

1980 წელს გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად ამაღლდეს მოსახლეობის ცხოვრების დონე. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 1975 წელთან შედარებით გადიდდება 24,1 პროცენტით ხუთწლედის გაანგარიშებით გათვალისწინებული 21,9 პროცენტის ნაცვლად. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი გადიდდება 21,1 პროცენტით ხუთწლიანი გეგმით დასახული 17,7 პროცენტის ნაცვლად და 144 მანეთს შეადგენს. კიდევ უფრო მეტად გაიზრდება კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — 43,2 პროცენტით და არა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 29,7 პროცენტით, წელს დამთავრდება სახალხო მეურნეობის არასაწარმოო დარგების 730 ათასი მუშისა და მოსამსახურისათვის ახალი, უფრო დიდი განაკვეთებისა და სარგოების დაწესება.

მოსახლეობის რეალური შემოსავლის გადიდებაში სულ უფრო მზარდ როლს ასრულებენ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები, რომელთა ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 1980 წელს მიაღწევს 364 მანეთს, ანუ 27,7 პროცენტით მეტი იქნება 1975 წელთან შედარებით და 5,1 პუნქტით გადაამეტებს ხუთწლიანი გეგმით განსაზღვრულს.

გათვალისწინებულია კიდევ უფრო განვითარდეს საქონელბრუნვა და საყოფაცხოვრებო მომსახურება, გაფართოვდეს სახალხო განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელი, საბინაო მშენებლობა, რისი განხორციელებაც საბინაო პირობებს გააუმჯობესებინებს 24 ათასზე მეტ ოჯახს.

ამრიგად, ერთი მხრივ, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი მოწმობს, თუ რაოდენ დასაბუთებულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეო-

(გაგრძელება მე-2 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმი

(გაგრძელება).

ბის განვითარების მთავარი მიმართულებანი, ტემპი და პროპორციები, და ხუთწლედის ოთხი წლის მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით უზრუნველყოფს მის გასვლას ეკონომიკური და სოციალური ზრდის უმნიშვნელოვანეს მიჯნებზე. მეორე მხრივ, გეგმის პროექტი მოწმობს, რომ **რესპუბლიკას აქვს ეკონომიკის შემდგომი დაჩქარებული განვითარების მნიშვნელოვანი რეზერვები, რომელთა დროული და ყველაზე სრული გამოყენება პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, თითოეული შრომითი კოლექტივის, ყოველი მშრომელის უმნიშვნელოვანესი და უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანაა მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს.**

III.

ამრიგად, მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ჩვენს წინაშე დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დგას. და იმისათვის, რომ წარმატებით შევასრულოთ ეს ამოცანები, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა აღმოვფხვრათ წლევანდელი ნაკლოვანებანი, მთლიანად აღვკვეთოთ ეგრეთ წოდებული „ვიწრო ადგილები“ და დისპროპორციები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში.

წლის ბოლომდე სულ ცოტა დროღა დაგვრჩა, ამიტომ საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ეს დრო და ავინაზღაუროთ დანაკლისი, დავძლიოთ ჩამორჩენა, რომელიც მთელ რიგ დარგებში, მთელ რიგ წარმოებებსა და მთელ რიგ რეგიონებში გვაქვს.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, უწინარეს ყოვლისა, რესპუბლიკაში მდებარე **საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოო-გაერთიანებათა** ჩამორჩენა, რომლებიც წელს გეგმის შესრულებას დააკლებენ თითქმის 144 მილიონი მანეთის პროდუქციას, ანუ თითქმის იმდენს, რამდენიც აკლია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას წარმოების ტემპის მიხედვით ხუთწლიანი გეგმის დავალების შესასრულებლად.

საგეგმო დავალებებს ვერ ასრულებენ ისეთი საწარმოები, როგორიც არის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და „საქკაბელი“, გაერთიანებანი „კავკასტრანსფორმატორი“ და „ჩარხმშენებელი“, რუსთავის ამწესაშენებელი ქარხანა, შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტი“, „საქთევზმრეწვი“ და ზოგიერთი სხვა.

ამის შესახებ ჩვენ სჯა-ბაასი გვქონდა ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე, როცა სახალხო მეურნეობის მუშაობის მიმდინარე წლის ცხრა თვის შედეგებს ვაჯამებდით. ამაზევე გვიხდება ლაპარაკი დღესაც. მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები დიდად ჩამორჩებიან რესპუბლიკის 17 ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლიდან ზოგიერთის მიხედვით. მთელი წლის განმავლობაში არ სრულდება ნაკისრი ვალდებულებანი წარმოების ზრდის ტემპის მიხედვით; კი არ მცირდება, არამედ მატულობს ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი; მთელი რიგი შრომითი კოლექტივები, აგრეთვე ცალკეული რეგიონები ვერ ასრულებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმებს; რესპუბლიკაში არ არის უზრუნველყოფილი მოგების გეგმის შესრულება.

სისტემატურად აუთვისებელი რჩება საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრები. უზრუნველყოფილი არ არის საწარმოო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ზოგიერთი ასამუშავებელი ობიექტის ამოქმედება.

საერთო ანგარიშით, ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი 11 თვის მანძილზე გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა ორჯერ, ხოლო მათ მიერ არარეალიზებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობა — 2,4-ჯერ.

კვლავ ბევრია ჩამორჩენილი საწარმო იმ სამინისტროებსა და უწყებებში, რომლებსაც სათავეში უდგანან ამხანაგები ო. ი. ლოლაშვილი, ნ. ა. მეძმარიაშვილი, თ. ი. უჩანეიშვილი, ი. ა. ხარატიშვილი, დ. ე. სარიშვილი. ამ ხელმძღვანელებს რომ მოუსმინო, ისინი რა თქმა უნდა, უამრავ ობიექტურ მიზეზს ჩამოგითვლიან. მაგრამ ჩვენ გვჭირდება არა ჩამორჩენის მიზეზთა განმარტება, არამედ თვით ჩამორჩენის ლიკვიდაცია.

საჭიროა, სასწრაფო და ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა აღმოიფხვრას სამეურნეო საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი და ხარვეზები. რა ნაკლოვანებებია ეს? უწინარეს ყოვლისა, მთავარი ნაკლი ის არის, რომ ზოგიერთი სამინისტრო და უწყება, გაერთიანება და საწარმო საკმაოდ მიზანდასახულად და თანამიმდევრულად არ ახორციელებს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ეკონომიკური განვითარების ინტენსიური ფაქტორების გამოყენების კურსს.

ახლა საჭიროა ღრმად გავერკვეთ ყოველ სამინისტროში, თითოეულ საწარმოში, შრომით კოლექტივსა და რეგიონში, და ოპერატიულად გადავწყვიტოთ დაშვებული ჩამორჩენის მაქსიმალურ დაძლევასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მიმდინარე სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრება.

ჩვენ ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ვინაიდან **იმაზე, თუ როგორ შესრულდება მიმდინარე სამეურნეო წლის გეგმა, დიდად არის დამოკიდებული მთელი მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრება.**

ამასთანავე ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ არ დავუშვათ შესაძლო ჩამორჩენა ხუთწლედის დამამთავრებელ წელს. ამის შესახებ უკვე დღეს გვიხდება ლაპარაკი, ვინაიდან ზოგიერთი დარგის მიხედვით 1980 წლის გეგმა ვერ უზრუნველყოფს ხუთწლიანი გეგმით განსაზღვრული მიჯნების მიღწევას. კერძოდ, მთლიანად 1976-1980 წლებში დავალებაზე ნაკლები ტემპით იზრდება წარმოება ენერგეტიკის, შავი მეტალურგიის, ფერადი მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის, გაზის მრეწველობის, მძიმე მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური მრეწველობის, ჩარხსაშენებელი მრეწველობის, თევზის მეურნეობის სამინისტროების. აგრეთვე საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსა და ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში.

მართალია, 1980 წლის გეგმის პროექტით გათვალისწინებულია ღონისძიებანი, რათა შევამციროთ ამ დარგების მიხედვით ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში ოთხი წლის ჩამორჩენა, მაგრამ მარტო ამის იმედით ვერ ვიქნებით. ამიტომ პარტიული კომიტეტების, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების ყველაზე საარსებო, ყველაზე საბრძოლო ამოცანა ის არის, რომ 1980 წლის საგეგმო დავალებათა შესრულების პროცესში მიზანდასახულად ეძებონ წარმოების ზრდისა და სრულყოფის დამატებითი რეზერვები, დაზოგონ ნედლეული და მასალა, მოაქციონ სამეურნეო ბრუნვაში წარმოების რეზერვები და ამის შედეგად **მიაღწიონ ხუთწლედის დავალებათა რეალიზაციაში შექმნილი ჩამორჩენის თუ სრულ ლიკვიდაციას არა, მაქსიმალურ შემცირებას მაინც.**

კარგი იქნებოდა, ჩამორჩენილ საწარმოთა ხელმძღვანელები თავს იმით არ იიმედებდნენ, რომ მათი ჩამორჩენა მთლიანად რესპუბლიკაში ხუთწლიანი გეგმის საერთო შესრულებით გადაიფარება. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე, როცა ჩვენ საბოლოოდ შევაჯამებთ მეათე ხუთწლედის შედეგებს, ყველას თავისას მივაგებთ: **გამარჯვებულთ — პატივსა და დაფასებას, ხოლო იმათ, ვინც ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო დავალებათა შესრულებას, ალბათ, უმკაცრესად მოვკითხავთ!**

პასუხს მოვთხოვთ, ალბათ, ამხ. კ. დ. კილაძესაც — საწარმოო გაერთიანება „საქყოფქიმის“ გენერალურ დირექტორს. ეს გაერთიანება ხუთწლიანი გეგმის შესრულებას 30 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქციას აკლებს.

ჩვენს პლენუმებსა და აქტივის კრებებზე ბევრჯერ გვითქვამს, რომ საჭიროა მივიღოთ დაძაბული გეგმები და უზრუნველვყოთ მათი შესრულება, გაერთიანების გენერალური დირექტორი კი ქიმიური მრეწველობის სამინისტროს მიერ დადგენილ შემცირებულ დავალებებს სჯერდება და შემდეგ, შედარებით იოლად, გადაჭარბებით ასრულებს მათ, რითაც მოჩვენებითი კეთილდღეობის სურათს ქმნის. მაგალითად, 1980 წელს გაერთიანებას გეგმა დაწესებული ჰქონდა მილიონ 200 ათასი მანეთით ნაკლები მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით. წარმოების მოცულობის ზრდის რა ტემპზე შეიძლება აქ ლაპარაკი? ამის შემდეგ არც არის გასაკვირი, რომ სინთეზურ სარეცხ საშუალებათა საწარმოო სიმძლავრენი აქ ხუთწლედის დამამთავრებელ წელს სულ 45 პროცენტით იქნება დატვირთული.

ანდა ავიღოთ მეორე მაგალითი. ქიმიური მრეწველობის სამინისტრო „საქპოლიმერკონტეინერის“ საწარმოო გაერთიანებას აი უკვე სამი წელია უკვეცავს ნედლეულის ფონდებს, მერე კი უმცირებს გეგმას, რის შედეგადაც გაერთიანება მარტო მიმდინარე წელს თითქმის 6 მილიონი მანეთით ნაკლებ პროდუქციას გამოუშვებს. სრული ძალით ვერ იმუშავებს იგი ვერც 1980 წელს: წლიური გეგმის პროექტი 3 მილიონი მანეთით ნაკლებია ხუთწლედის დავალებასთან შედარებით. განსაკუთრებით არასახარბიელო ვითარება შეიქმნა წულუკიძის ქარხანა „პოლიმერკონტეინერში“.

ეტყობა, დროა პარტიის წულუკიძის რაიკომმაც და ჩვენმა რესპუბლიკურმა ორგანოებმაც ქიმიური მრეწველობის სამინისტროსთან ერთად იხმარონ ქმედითი ღონისძიებანი ამ საწარმოს მუშაობის სტაბილიზაციისათვის, ასე „მეურნეობრიობა“ აღარ შეიძლება.

ავიღოთ ამავე სამინისტროს მეორე საწარმოო გაერთიანება — „საქსამთოქიმმრეწვი“. იგი ძალების სრული დაძაბვით მუშაობს, ეძებს და ავლენს წარმოების ზრდის, მისი ეფექტიანობის ამაღლების ახალ-ახალ რეზერვებს, რასაც თავისი შედეგები მოაქვს: გაერთიანება უკვე წელს გადაჭარბებით შეასრულებს ხუთწლიან დავალებას, ხოლო გაისად ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით გამოუშვებს მილიონ მანეთისაზე მეტ დამატებითს პროდუქციას. დარწმუნებული ვარ, თუ ამხანაგები შეეცდებიან, ისინი გამოძებნიან კიდევ რეზერვებს. ასეთ წარმატებებს მაშინ აღწევენ, როცა გეგმაზომიერად ინერგება ახალი ტექნიკა და უფრო სრულყოფილი ტექნოლოგია, ითვისებენ პროგრესულ სახეობათა პროდუქციას. მაქსიმალურად იყენებენ ეკონომიკის ზრდის შინაგან რეზერვებს.

საჭიროა, რომ სამრეწველო წარმოების მოცულობისა და ზრდის ტემპის გაძლიერებისათვის, მისი ეფექტიანობის ამაღლებისათვის ბრძოლა წარმოებდეს ფართო ფრონტით — თითოეულ დარგსა და ყოველ რეგიონში, საწარმოო კოლექტივში, თითოეულ სამუშაო ადგილას. ამ მიზნით მინისტრთა საბჭომ, რესპუბლიკის შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა შეიმუშაონ მოქმედების ზუსტი პროგრამა, რომლის რეალიზაცია უზრუნველყოფს ჩამორჩენის დაძლევას უწინარეს ყოვლისა ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგებში, როგორიც არის ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმია და ფერადი მეტალურგია.

ჩვენ უკვე არაერთგზის გვითქვამს, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში კარგი კონტაქტი დამყარდა საკავშირო სამინისტროებთან. 1976–1979 წლებში მიღებულ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დაახლოებით 15 დადგენილება საკავშირო მინისტრების მონაწილეობით სხვადასხვა დარგის განვითარების თაობაზე. და, რა თქმა უნდა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სამინისტროებში გამოიცემოდა შესაბამისი ბრძანებანი. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ეს გადაწყვეტილება როდი სრულდება ჯეროვანი ეფექტიანობით. ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დარგობრივი განყოფილებანი უნდა ახორციელებდნენ უფრო ქმედითს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მიღებულ დადგენილებათა შესრულებას, როგორც ოპერატიული, ისე პერსპექტიული ამოცანების გადაწყვეტას.

განსაკუთრებით საჭიროა სრულვყოთ მანქანათმშენებლობის დარგების მრავალრიცხოვან საწარმოთა მართვა, რომელთა რაოდენობა და მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ არ არის საკავშირო-რესპუბლიკური ქვეგანაყოფები, რომლებიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო საწარმოებს გაუძღვებოდნენ, ჩვენ მოვალენი ვართ ვეძებოთ და გამოვნახოთ ოპტიმალური გადაწყვეტანი მართვის სტრუქტურის სრულყოფისათვის. ეტყობა, ამ ეტაპზე საჭიროა ამაღლდეს მინისტრთა საბჭოს განყოფილებების, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა მუშაობისათვის. უფრო ოპერატიული დახმარება უნდა გავუწიოთ მათ წამოჭრილ სიძნელეთა დასაძლევად, ყველგან გავაკონტროლოთ მათი მუშაობა, გავაანალიზოთ საქმის მდგომარეობა და მივიღოთ ეფექტიანი და სისტემური ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, შესაბამისი შეფასება მივცეთ სამეურნეო ხელმძღვანელთა საქმიანობას, შევიტანოთ კონკრეტული წინადადებანი ცენტრალური კომიტეტის ბიუროში.

აქვე უნდა მოგახსენოთ **ტრანსპორტის** მუშაობაზე. ამ საკითხმა, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის თქმით, განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა.

ჩვენს პლენუმებსა და აქტივის კრებებზე თითქმის ყოველთვის მკაცრად ვაკრიტიკებთ სატრანსპორტო საშუალებათა, უწინარეს ყოვლისა მთელი რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობას. მიმდინარე წლის მაისში გაიმართა ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და გზათა სამინისტრომ მოიწვიეს. მიღებულ იქნა ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ჩვენი რკინიგზის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

რკინიგზის ხელმძღვანელობას ჩვენ დავუსახეთ ამოცანა გადაჭრით განემტკიცებინა შრომისა და საწარმოო დისციპლინა, შეექმნა შეუწყნარებლობის ატმოსფერო დამრღვევთა მიმართ, უზრუნველეყო მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობის უთუო დაცვა. მაგრამ აქ საქმე ნელა სწორდება.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა უნდა მოსთხოვოს რკინიგზის უფროსს ამხ. ლ. გ. ვარდოსანიძეს, ამიერკავკასიის მაგისტრალის ყველა ხელმძღვანელ მუშაკს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, პარტიის ყველა რაიონულ, საქალაქო, საოლქო კომიტეტს სანიმუშო წესრიგი დაამყარონ თავიანთ მეურნეობაში, უზრუნველყონ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა შესრულება.

მაგრამ დღეს უნდა ვილაპარაკოთ არა მარტო რკინიგზის ტრანსპორტზე, არამედ საერთოდ ტრანსპორტზე, კერძოდ, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მუშაობაზე, სადაც ასევე საკმაოდ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. დიდია მოცდენა სატვირთო ოპერაციების დროს, ცუდად იყენებენ სატრანსპორტო საშუალებათა ტვირთამწეობასა და ტევადობას, არ მცირდება ცარიელი გარბენი. როგორც გამოირკვა, შემოწმებული ავტომობილების 55 პროცენტზე მეტი რესპუბლიკის ტრასებზე დაუტვირთავი დადის, რასაც წლის განმავლობაში, არასრული მონაცემებით 21 ათას ტონაზე მეტი სათბობი დასჭირდა.

ჯერ კიდევ დაბალია მგზავრთა მომსახურების კულტურა.

თერთმეტი თვის განმავლობაში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით ერთიორად გაიზარდა ტვირთის დაუცველობის შემთხვევები ყველა სახეობის ტრანსპორტით გადაზიდვის დროს.

ამოცანა ის არის, რომ ჩვენი სატრანსპორტო უწყებები, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი უფრო ღრმად ჩასწვდნენ სატრანსპორტო საშუალებათა განვითარებისა და რაციონალური გამოყენების პერსპექტიულ პრობლემებს, მიაღწიონ, როგორც ამას ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს ყველა სახეობის ტრანსპორტის, როგორც ქვეყნის ერთიანი სატრანსპორტო სისტემის, მუშაობის უკეთეს კოორდინაციას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დიდი ყურადღება დაუთმო **კაპიტალური მშენებლობის** საკითხებს და აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო მეტად მოვუყაროთ თავი მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს და კაპიტალურ დაბანდებებს ასამოქმედებელ და განსაკუთრებით მნიშვნელოვან ობიექტებზე, შევამციროთ ერთდროულად მშენებარე ობიექტების რიცხვი, ავამაღლოთ კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობა და დავიყვანოთ დაუმთავრებელი მშენებლობა დადგენილი ნორმატივების დონემდე. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ხელმძღვანელობას საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისას მეტი სიმტკიცე მართებს. ზუსტად ასევე უნდა მივაკუთვნოთ ეს მოთხოვნა ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსაც, მშენბანკსაც.

დღეს ჩვენ შეგვიძლია კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკის შესაბამის ორგანოებში გულდასმით განიხილავენ ხოლმე ახლად დასაწყებ მშენებლობათა ნუსხას, და გეგმაში ახალი ობიექტების შეტანის გადაწყვეტილებას მხოლოდ მაშინ იღებენ, თუ ეს ობიექტები განსაკუთრებით საჭიროა.

დაუმთავრებელი მშენებლობის საერთო დონე კაპიტალური დაბანდების მოცულობასთან შედარებით ჩვენში ხუთწლედის სამი წლის მანძილზე 21 პუნქტით შემცირდა, მაგრამ იგი საშუალოდ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ 89 პროცენტს შეადგენს. რაც შეეხება წყალთა მეურნეობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის და საავტომობილო გზების სამინისტროებს, თბილისის საქალაქო საბჭოს, ხე-ტყის მრეწველობის სამინისტროს, საქნავთობს, ჭიათურმანგანუმს, საქქვანახშირს, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, — აქ დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა 1 ნოემბრისათვის 150-200 პროცენტს სჭარბობდა. ამ სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებმა ყველაზე გადამწყვეტი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ დაწყებული ობიექტების დამთავრებისა და სიმძლავრეთა უსწრაფესი ამოქმედებისათვის. ვფიქრობ, რომ ჩვენც პარტიის ცენტრალურ კომიტეტში უაღრესად ყურადღებით უნდა გავერკვეთ და დავადგინოთ, თუ რამ შექმნა ეს 150–200 პროცენტი. დარწმუნებული ვარ, ესოდენ მაღალი პროცენტი მნიშვნელოვანწილად იმითაც აიხსნება, რომ ჩვენ უბრალოდ არ გაგვაჩნია ზუსტი აღრიცხვა: არ ვიცით, სად რა კეთდება, არ ვახორციელებთ ეტაპობრივ კონტროლს. ვიმეორებ, ყოველივე ამაში ჩვენ უაღრესად გულდასმით უნდა გავერკვეთ.

არ უნდა ავუაროთ გვერდი ისეთ ფაქტებს, როცა მოქმედთა მწყობრში დგება ახალი საწარმოები, მაგრამ კადრებით, ნედლეულითა და მექანიზმებით მათი უზრუნველყოფის საკითხები ბოლომდე და კარგად მოფიქრებული არ არის. ამის შედეგად ჯერაც ვერ ამუშავებულა სრული სიმძლავრით გარდაბნის მუყაოროზბეროიდის ქარხანა, ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა, რუსთავის თაბაშირსხმული ტიხრების ქარხანა, სოხუმის, ბზიფის, გორის სახლსაშენებელი კომბინატები და სხვა საწარმოები.

ავიღოთ მეორე მაგალითი. მშენებლობის სამინისტროს ბაზის განვითარების მიზნით მეცხრე და მეათე ხუთწლედებში შესრულდა 155 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, აქედან 56 მილიონი მანეთისა — საქართველოს სს რესპუბლიკის სახსრების ხარჯზე. მარტო ამის შედეგად ძირითადი საწარმოო ფონდები აქ 89 პროცენტით გაიზარდა. მაგრამ ამ სამინისტროში ჩვენ სათანადო უკუგება არ მიგვიღია. მთელი ამ პერიოდის მანძილზე სამრეწველო წარმოების ზრდის საშუალო წლიური ტემპი სულ 4,1 პროცენტს შეადგენდა, შესრულებული სამუშაოთა მოცულობის ზრდა კი საშუალოდ ორ-სამ პროცენტს არ აღემატებოდა.

წარმართავდა რა მატერიალურ და შრომით რესურსებს უწინარეს ყოვლისა საკუთარი ბაზის შესაქმნელად, ზოგჯერ კი ეს სხვა ობიექტების ხარჯზეც კეთდებოდა, მშენებლობის სამინისტრო, ვთქვათ დაუფარავად, არ იჩენდა სახელმწიფო მიდგომას საქმისადმი. თანაც აქ არ უზრუნით კადრების მომზადებისა და ამ კადრებით თავიანთი ბაზის დაკომპლექტებისათვის, რათა შეძლებოდათ მისი ეფექტიანი გამოყენება.

ასევე მოუმზადებელნი, ექსპლოატაციის მუშაკთა კადრებით წინასწარი დაკომპლექტებისათვის სათანადო ორგანიზატორული მუშაობის გაუწევლად შეუდგნენ ყველა ზემოაღნიშნული ობიექტის მშენებლობას. რატომ ხდება ასეთი რამ? რატომ გამოყოფდნენ ფულს ამ თუმცა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი და პირველი რიგის მშენებლობებისათვის, თუ არ იყვნენ დარწმუნებული, რომ ასამოქმედებელი სიმძლავრენი სრული ძალით იმუშავებდნენ და დაწესებულ ვადაში გამოუშვებდნენ საჭირო პროდუქციას?

ვერ დავუშვებთ ესოდენ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეებისადმი. წესრიგისათვის უნდა მოვუწოდოთ იმათ, ვინც თავს ამის უფლებას აძლევს, მათ შორის იმათაც, ვინც კაპიტალურ მშენებლობაში შემკვეთის ფუნქციებს ახორციელებს.

როგორც თავის გამოსვლაში შენიშნა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, მუშაობის რა უბანიც უნდა აიღო ყველგან ხედავ უდიდეს შესაძლებლობებს, წარმატებული წინსვლის უზარმაზარ რეზერვებს. რაღა თქმა უნდა, ეს ეხება სურსათით მოსახლეობის მომარაგების პრობლემებსაც.

აქ, თუ ჩვენს რესპუბლიკას ავიღებთ, უმნიშვნელოვანესი რეზერვია მეცხოველეობის საწარმოთა სიმძლავრეების ყველაზე სრული ათვისება. განა დასაშვებია, რომ რძის საწარმოო და დეკეულის გამოსაზრდელი სახელმწიფო კომპლექსების სიმძლავრენი ათვისებულია მხოლოდ 45 პროცენტით, ხოლო სამეურნეობათშორისო კომპლექსებისა — უფრო ნაკლებად?

საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა ამოქმედებული ობიექტები მთლიანად იყოს დატვირთული, აწარმოებდნენ პროდუქციას საპროექტო დავალების სრული შესაბამისობით. ეს ძალზე მნიშვნელოვანი, ნამდვილად სახელმწიფოებრივი, პარტიული ამოცანაა, რომელიც ყველა იმ სამინისტროს, უწყების, პარტიული და საბჭოთა ორგანოს წინაშე დგას, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასთან რომ არიან დაკავშირებული.

ეტყობა, დროა, მკაცრი პარტიული პასუხი მოვთხოვოთ მშენებლებს, რომლებიც საწარმოებს დროულად არ აბარებენ, კომბინირებული საკვების მრეწველობის მუშაკებს, რომლებიც მდარეხარისხოვან საკვებს ამზადებენ, წყალსამეურნეო და ენერგო-სასათბობო მეურნეობის მუშაკებს, რომლებსაც დროულად ვერ უზრუნველუყვიათ მეფრინველეობის ფაბრიკები წყლით, ელექტროენერგიითა და სათბობით, და, უწინარესად მეფრინველეობის იმ ხელმძღვანელებს, საწარმოთა ეფექტიანი მუშაობა რომ ვერ მოუგვარებიათ.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს საქმის მდგომარეობა რესპუბლიკისათვის ისეთ დიდმნიშვნელოვან დარგში, როგორიც არის მევენახეობა. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ პროგნოზების მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესრულებას მთელი ხუთწლედის მანძილზე 100-120 ათასი ტონა აკლდება. მაგრამ არის შესაძლებლობა აღმოვფხვრათ ეს ჩამორჩენა მოსახლეობაში ყურძნის შესყიდვის ორგანიზაციის გაუმჯობესების გზით.

ჩვენი ძირითადი რეზერვი, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ მეურნეობებშია მოქცეული. ამიტომ საჭიროა მაქსიმალურად გავზარდოთ ყურძნის წარმოება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უწინარეს ყოვლისა ვენახების მოვლის გაუმჯობესების, სეტყვის, მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების გზით და ამის შედეგად უზრუნველვყოთ არა მარტო 1980 წლის, არამედ მთელი ხუთწლედის გეგმის შესრულებაც, ამაზე ხომ მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის წარმატებანი. ამ საქმეში დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს საკავშირო ორგანოების გადაწყვეტილება ძირითადი სამრეწველო ჯიშების ყურძნის შესყიდვის ფასების 20 პროცენტამდე გადიდების შესახებ, რომლებიც მიმდინარე წლიდან წესდება.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამის შესახებ ძალზე კარგად თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პლენუმზე, სადაც აღნიშნა, რომ ალბათ, ნაკლებად მოიძებნება სხვა დარგები, სადაც საბოლოო შედეგები ესოდენ დამოკიდებული იყოს ხარისხზე.

ამ მიმართულებით ჩვენში გარკვეული მუშაობა წარმოებს და უკვე მიღწეულია ზოგიერთის შედეგი. მაგრამ გვაქვს დანაკარგებიც, არის ბევრი სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის, მეტადრე ხილისა და ბოსტნეულის ხარისხის გაუარესების ფაქტები. საქართველოს სსრ საზოგადოებრივი პროდუქტის ბალანსის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგები **მწარმოებელთა მეურნეობებში** მისი შენახვის დროს, აგრეთვე პროდუქტიული პირუტყვის გაწყდომით გამოწვეული დანაკარგები ხუთწლედის სამ წელიწადში 73 მილიონ მანეთს შეადგენს. ჩანს, თუ უფრო საფუძვლიანად გავერკვევით, დანაკარგები 2-3-ჯერ მეტი იქნება. ანდა რამდენ ბოსტნეულს, ხილსა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციას ვკარგავთ მოსავლის აღების ტრანსპორტირებისა და **გადამამუშავებელ საწარმოებში** შენახვის დროს! სამწუხაროდ, ამ დანაკარგებს არ ანგარიშობენ არც სამტრესტში არც „საქართველოს ჩაის“ გაერთიანებაში და არც საქკონსერვმრეწვში. არ არის ასეთი მონაცემები არც კვების მრეწველობის სამინისტროში, არც ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროში.

სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროსა და ცეკავშირის სისტემაში მოწყობილმა შემოწმებამ ცხადყო, რომ ბევრ რაიონში გადამამუშავებელ საწარმოთა მიმღებ პუნქტებში მიტანილ ხილსა და ბოსტნეულს სადაც მოუხდებათ, იქ გადმოცლიან ხოლმე და დიდხნობით უყრიათ ღია ცის ქვეშ საწარმოთა ტერიტორიაზე, და რაღა თქმა უნდა, ფუჭდება.

ასეთი მაგალითების დასახელება მრავლად შეგვიძლია. მაგალითად, კვების მრეწველობის სამინისტროს ქარელის ხილ-კენკრის ღვინის ქარხანაში გაფუჭდა 40 ტონა ვაშლი, წყალსა და ტალახში ეყარა 120 ტონა ხილი. არა აქვთ შექმნილი ნედლეულისა და მასალების მიღება-შენახვის საჭირო პირობები ხაშურისა და დუშეთის საკონსერვო ქარხნებში, ტყვიავის, გორის ხილ-კენკრის ღვინის ქარხნებსა და ამ სისტემის ზოგიერთ სხვა საწარმოში.

დიდია ძვირფასი პროდუქციის დანაკარგები აგრარულ სამრეწველო-სავაჭრო-გაერთიანების ლილოს ხილ-ბოსტნეულის კომბინატში, სადაც შარშან 3 ათასამდე ტონა ხახვი, 1.100 ტონაზე მეტი კარტოფილი, 1.200 ტონაზე მეტი კომბოსტო გაფუჭდა. ამხ. დ. დ. მაღალაშვილმა საფუძვლიანი პასუხი უნდა მოგვცეს ყველა ამ საკითხზე.

ზოგიერთი ჩვენი სამინისტრო, მათი სამმართველო და საწარმოო ქვეგანაყოფი მიმდინარე საყოველდღეო საქმეებს გადაჰყვება ხოლმე და ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხების მიღმა ზოგჯერ ვერ ამჩნევს პერსპექტიულ, დიდი მასშტაბის პრობლემებს, არ აპროგნოზებს შესაძლო სიტუაციას და არ ამზადებს ამასთან დაკავშირებით შესაბამის გადაწყვეტილებებს. ამიტომ არის, რომ ხშირად მოუმზადებელნი აღმოჩნდებიან ხოლმე, გაფაციცებით იწყებენ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნას, რაც ხშირად მნიშვნელოვან ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას. პრობლემათა ამ ჯაჭვში მთავარია გადამამუშავებელი მრეწველობის სიმძლავრეთა ნაკლებობა, რაც მთელი რიგი უკანასკნელი წლების მანძილზე აფერხებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას. პროდუქციის გაფუჭებაში ბრალი მიუძღვის არა მარტო კვების მრეწველობის სამინისტროს, არამედ მთელ რიგ სხვა უწყებებსაც, მათ შორის ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო ორგანოს, რომლებიც ხშირად ცდილობენ თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა.

სწორედ ასეთი სიტუაცია შეიქმნა ციტრუსის რეალიზაციისა და გადამუშავების საქმეში. მეციტრუსეები ჩინებულად გაისარჯნენ და მეტად უხვი მოსავალიც მოიყვანეს. მაგრამ ისინი, ვისაც უნდა უზრუნველეყო ამ ხილის შენახვა, გაგზავნა და გადამუშავება, ყოვლად მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელსაც არ გააჩნია იმის შესაძლებლობა, რომ ცოტა ხნით მაინც შეინახოს მოკრეფილი ხილი, მთავარ სადარდებლად ისა აქვს, თუ როგორ მოიშოროს თავიდან იგი. სატრანსპორტო ორგანიზაციები ვაგონისა და საწვავის უქონლობას იმიზეზებენ, და თუმცა უკანასკნელ ხანს გამოასწორეს საქმე, თავიდან იხსნიან პასუხისმგებლობას ხილის გაფუჭებისათვის. და ბოლოს, კვების მრეწველობის სამინისტრო დიდი რაოდენობის ციტრუსის გადამუშავებისათვის საჭირო სიმძლავრეთა უქმარისობას იმიზეზებს და „ზემოდან“ მოელის მითითებებს იმ იმედით, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო იპოვიან გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან, განახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს!

ჩვენ ვისურვებდით, რომ ამხანაგები შ. მ. ეცადაშვილი, თ. ნ. დავითაშვილი, ლ. გ. ვარდოსანიძე, რ. ჰ. კონცელიძე, რომლებსაც ძალიან მაღალი პოსტები უკავიათ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში, ჩვენს რესპუბლიკაში, მეტ დამოუკიდებლობას იჩენდნენ, მუშაობდნენ პერსპექტივის გათვალისწინებით, ზრუნავდნენ ხვალინდელი დღისათვის.

სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგება დიდად არის დამოკიდებული **კვების მრეწველობის სამინისტროს** სისტემის აწყობილ და შეთანხმებულ მუშაობაზე. ამ დარგში არსებული დისპროპორციების, მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ ვიმსჯელეთ პარტიულ-სამეურნეო აქტივის ამასწინანდელ კრებაზე. ამიტომ გეტყვით მხოლოდ, რომ კვების მრეწველობაში ნელა წყდება მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის, მათ შორის ხილბოსტნეულის კონსერვების, მცენარეული ზეთის, ყურძნის ღვინისა და ზოგიერთი სხვა სახეობის საქონლის წარმოების შემდგომი გადიდების საკითხები. საჭიროა უფრო ფართოდ დაინერგოს სოფლად სამრეწველო პურის ცხობა, უნდა გაიზარდოს ლუდის, უალკოჰოლო სასმელების წარმოება. არ გადაჭრილა ეთერზეთოვანი პროდუქციის წარმოების უფრო რაციონალური ორგანიზაციის პრობლემა. საჭიროა დაევალოს სახელმწიფოს საგეგმო კომიტეტს კვების მრეწველობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად მომზადოს დასაბუთებული წინადადებანი ამ საკითხზე და შემოიტანოს ისინი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განსახილველად. ჩემი აზრით, მინისტრთა საბჭომ, ამხ. ზ. ა. პატარიძემ თავის დროზე სწორად დასვა კვების მრეწველობის სამინისტროს სტრუქტურის სრულყოფის აუცილებლობის საკითხი. ეს საკითხი მომწიფდა, რადგან ამ ბოლო წლებში დარგის ეკონომიკური პოტენციალი უაღრესად გაიზარდა და რესპუბლიკის სასურსათო კომპლექსში ფრიად გართულდა შიდადარგობრივი და დარგთაშორისი ურთიერთობა. ეტყობა, საჭიროა ვიზრუნოთ ისეთი წამყვანი დარგების მართვისა და სტრუქტურის სრულყოფისათვის, როგორიც არის მეჩაიეობა, მეღვინეობა და ა. შ. ყოველივე ეს აგვამაღლებინებს მეურნეობრიობის ეფექტიანობას, მნიშვნელოვნად შეგვამცირებინებს ნედლეულისა და მზა პროდუქციის დანაკარგებს.

სასურსათო პროდუქტებზე მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში დიდი როლი ეკუთვნის **ხორცისა და რძის მრეწველობას**, რომელსაც ასევე აქვს თავისი გამოუყენებელი რეზერვები საარსებო მნიშვნელობის სურსათით მოსახლეობის მომარაგების გასაუმჯობესებლად, პროდუქციის ასორტიმენტის გასაფართოებლად, მისი ხარისხის ასამაღლებლად. აქაც უდიდესი დანაკარგებია. ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენ ამხ. ა. ო. მოვსესიანთან ერთად ვაზუსტებდით ამ საკითხს და დავადგინეთ, რომ ნარჩენებს მიაქვს ყველაზე ძვირფასი პროდუქციის დაახლოებით 15-20 პროცენტი. სამინისტრო, ცენტრალური კომიტეტის განყოფილებები, მინისტრთა საბჭო, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები აქაც უაღრესად სერიოზულად, ძალზე დაკვირვებით უნდა დაუფიქრდნენ, თუ რის გაკეთება შეიძლება ამ საარსებო პრობლემის გადასაჭრელად.

ხორცის რესურსების შეზღუდულობის პირობებში რესპუბლიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მეურნეობის ისეთ დიდმნიშვნელოვან დარგს, როგორიც არის **თევზის მრეწველობა**. ამასთან დაკავშირებით ჩვენ სერიოზული პრეტენზიები გვაქვს საწარმოო გაერთიანება „საქთევზმრეწვის“ მიმართ, რომლის წილად მოდის რესპუბლიკის თევზის მრეწველობის პროდუქციის 97,5 პროცენტი. მიუხედავად ამისა, აქ წლითიწლობით მცირდება პროდუქციის გამოშვება, მაშინ როდესაც ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე დასახული იყო წარმოების მოცულობის მატება 41,5 პროცენტით.

რა თქმა უნდა, ჩვენ ანგარიშს ვუწევთ იმ ობიექტურ ფაქტორებს, რომლებიც აბრკოლებენ ჩვენში თევზის მრეწველობის შემდგომ განვითარებას, მაგრამ არის არანაკლებ სერიოზული სუბიექტური მიზეზებიც, რომლებსაც ყურადღება უნდა მიაპყროს საქთევზმრეწვის ხელმძღვანელობამ და, უწინარეს ყოვლისა, ამხ. ო. გ. აბესაძემ. საჭიროა უფრო სწრაფად ავითვისოთ შიდა წყალსატევების — ნედლი თევზითა და ძვირფასი თევზეულით მოსახლეობის მომარაგების ამ ჭეშმარიტად ულევი წყაროების უმდიდრესი შესაძლებლობანი, სერიოზული ყურადღება დავუთმოთ თევზის მეორეულ გადამუშავებას. ჩვენთვის ეს ხელუხლებელი ყამირია, და ჩვენში ამას, სამწუხაროდ, არავინ არ აქცევს ყურადღებას.

ამრიგად, სასურსათო პროდუქტების წარმოების ყოველმხრივი გადიდება, მათი ხარისხის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის ამ პროდუქტებით შეუფერხებელი მომარაგების პრობლემა ჩვენთვის განსაკუთრებით აქტუალურია. საქმის წარმატება ახლა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ენერგიულად, ამ საქმის დიდი მნიშვნელობის გაგებით მოეკიდებიან მას ხელს მინდვრებისა და ფერმების მშრომელები, გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკები.

პლენუმზე ითქვა, რომ ცენტრალური კომიტეტი შეშფოთებულია მოსახლეობის ზოგიერთი **სამრეწველო საქონლით** მომარაგების შეფერხებით. და თუმცა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობა იზრდება, მაგრამ მისი ხარისხისა და ასორტიმენტისადმი მოთხოვნები, როგორც ლეონიდ ილიას ძემ შენიშნა, აშკარად უსწრებს იმას, რასაც მრეწველობა გვთავაზობს.

შეშფოთებულნი ვართ ჩვენც ცენტრალურ კომიტეტში, იმიტომ რომ, თუმცა რესპუბლიკაში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, უკანასკნელი წლების მანძილზე შესამჩნევად გაიზარდა, მაგრამ მთელი რიგი სამინისტროები, უწყებები, გაერთიანებები და საწარმოები სისტემატურად ვერ ასრულებენ მრავალი მილიონი მანეთის კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საოჯახო დანიშნულებისა და მასობრივი მოთხოვნის საქონლის გამოშვების საგეგმო დავალებებს.

ცუდად სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების შესახებ, რომელიც მიღებულია 1977 წელს საკავშირო ორგანოების გადაწყვეტილების შესაბამისად. დასახული იყო გაგვეზარდა 153 დასახელების სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, მაგრამ ფაქტობრივად ათ თვეში გეგმა მხოლოდ 77 დასახელების მიხედვით შესრულდა. ჩვენ სავსებით საფუძვლიანად ვფიქრობთ, ვაითუ ჩაიშალოს წლიური და ხუთწლიანი დავალებების შესრულება. მაგალითად, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების საქონლის წარმოება შეამცირეს ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელმა“ (10 პროცენტით), თბილისის ქარხანა „ელექტროიზოლიტმა“ (73,3 პროცენტით), ელექტროშესადუღი მოწყობილობის ქარხანამ (18,7 პროცენტით), ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანების ქარხანამ (50,5 პროცენტით). ამ საწარმოთა ხელმძღვანელების ასეთი პოზიცია გვაფიქრებინებს, რომ მათ ჯეროვნად არ ესმით ხალხისათვის საქონლის წარმოების სოციალური არსი და საერთო-პოლიტიკური მნიშვნელობა. აქ ეს საქმე [illegible], მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ. სწორედ ამიტომაც მიუშვეს იგი თვითდინებაზე. მეტ წილ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში არ არიან კონკრეტული ქვეგანაყოფები და თანამდებობის პირები, რომლებიც პასუხს აგებდნენ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებისათვის. ამ ნაწარმს თითქმის ყურადღებას არ აქცევენ საკონსტრუქტორო და საწარმოო-ტექნიკური სამსახურები, ბევრი სამეცნიერო-კვლევითი ქვეგანაყოფი.

რესპუბლიკაში წარმოებული სახალხო მოხმარების საქონლის მეტი წილი მოდის **მსუბუქი მრეწველობის** საწარმოებზე. ამიტომ მათ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამისათვის. უკანასკნელი წლების მანძილზე აქ ბევრი რამ გაკეთდა ნაწარმის გამოშვების, მოცულობის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, შეინიშნება სასიკეთო ცვლილებები. მით უფრო შეუწყნარებელია, რომ სამინისტროს სისტემაში ერთობ ხშირად იფუშება ბევრი მნიშვნელოვანი სახეობის პროდუქციის გამოშვების საგეგმო დავალებანი.

უეჭველია, მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ამხ. გ. პ. გამცემლიძე კარგი სამეურნეო ხელმძღვანელი და ორგანიზატორია, მაგრამ არ შეგვიძლია მისი ყურადღება არ მივაპყროთ სერიოზულ ხარვეზებზე ფართო მოთხოვნის საქონლის წარმოებაში და წინადადებას ვაძლევთ მიიღოს გადამწყვეტი ზომები, რათა რაც შეიძლება მალე გამოსწორდეს მდგომარეობა.

უნდა ავამაღლოთ აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოების პასუხისმგებლობა ამ საქონლის საწარმოებლად ნედლეულისა და მასალების მიწოდების გეგმების შესრულებისათვის. მათი წარმოების მოცულობის გადიდებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ საგეგმო, საფინანსო და საბანკო ორგანოებს, სახსტანდარტის დაწესებულებებს, საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის ინსპექციებს, აგრეთვე სახალხო კონტროლის ორგანოებს. აქ გვჭირდება თითოეული ამ ორგანოს არა განცალკევებული მოქმედება, არამედ კომპლექსური მიდგომა, მთელი ამ მუშაობის ურთიერთშეთანხმება და კოორდინაცია. ჩვენ ამ ორგანოებისაგან მოველით კონკრეტულ, ეკონომიკურად დასაბუთებულ წინადადებებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების, შიდასამეურნეო რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენების გზით მისი ახალი სახეობების გამოშვების შესახებ. ეს უნდა გაითვალისწინონ ამხანაგებმა ფ. ა. ანანიაშვილმა, ა. ი. ბუაძემ, გ ა. პატიაშვილმა, ნ. ა. გიორგობიანმა, ო. გ. მელქაძემ და სხვა ამხანაგებმა.

დიდი შესაძლებლობანი აქვს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ასორტიმენტის გაფართოებისათვის **ადგილობრივ მრეწველობას**. მაგრამ გაკეთებული აშკარად საკმარისი არ არის, თუმცა იქ სამრეწველო პროდუქციის მატების ტემპი ურიგო როდია. შემთხვევით როდი აღნიშნა ლეონიდ ილიას ძემ, რომ ფართო მოხმარების საქონლის წარმოებას გაცილებით უფრო საფუძვლიანად, ხოლო, რაც მთავარია, ინიციატივიანად უნდა მოჰკიდონ ხელი ადგილობრივმა მრეწველობამ, სამომხმარებლო კოოპერაციამ, საბჭოებმა და მათმა მუდმივმა კომისიებმა.

სამწუხაროდ, ასეთ ინიციატივიანობას ვერ ვგრძნობთ ჩვენი ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მუშაობაში, სადაც ჯერ კიდევ დაბალია ხარისხობრივი მაჩვენებლები, სისტემატურად იფუშება უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის, განსაკუთრებით კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების საქონლის, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, ავეჯის, პლასტმასის ნაწარმის, ადგილობრივი ნედლეულის პროდუქციის გამოშვების დავალებანი. ფართო მოთხოვნის 51 სახეობის ნაწარმის გამოშვების ათი თვის გეგმა შესრულდა მხოლოდ 14 სახეობის მიხედვით. ამრიგად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დავალება მასობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოების გადიდების შესახებ აქ დამაკმაყოფილებლად არ სრულდება. დღეს უნდა გავაფრთხილოთ მინისტრი ამხ. მ. კ. მაღრაძე და მისი მოადგილეები, რომლებსაც პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ დადგენილების შესრულებისათვის, რომ არავის არა აქვს უფლება ასე ეკიდებოდეს ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებას.

როგორც სწორად იყო აღნიშნული ნოემბრის პლენუმზე, პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის შესახებ მომხმარებელი საბოლოო ანგარიშით მსჯელობს იმით, რასაც მაღაზიაში ხედავს და შეუძლია იყიდოს. ჩვენში კი საცალო **საქონელბრუნვისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ზრდის** ტემპი ვერ ფარავს მყიდველობითი ფონდებისა და მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

სამ წელიწადსა და ათ თვეში მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ ბაზარს დააკლეს 51 მილიონი მანეთის ძირითადი სასურსათო და 166 მილიონი მანეთის არასასურსათო საქონელი, რომლის მეტი ნაწილი მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებზე მოდის.

ბრალი მიუძღვით სავაჭრო ორგანიზაციებსაც, რომლებიც არ იჩენენ სათანადო სიმტკიცეს, ოპერატიულობასა და კომერციულ საზრიანობას მიცემული საბაზრო ფონდების რეალიზაციისათვის. უკეთ უნდა ვიმუშაოთ მიმწოდებლებთან, შევისწავლოთ ბაზრის კონიუნქტურა, დავაპროგნოზოთ ცალკეულ საქონელზე მოთხოვნის მოცულობა, დროზე ავიცილოთ თავიდან შესაძლო ჩავარდნები საქონლის რესურსების მიწოდებაში.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესებას საცალო ქსელსა და საზოგადოებრივ კვებაში. პროგრესულ ფორმებზე გადაყვანილი მაღაზიების ხვედრითმა წილმა წლის დამდეგს სახელმწიფო ვაჭრობაში 28,9 პროცენტი შეადგინა საშუალოდ ქვეყანაში 39,3 პროცენტის ნაცვლად. ვაჭრობის მუშაკებისაგან ველით არა მარტო მომხმარებელთა მომსახურების მაღალ ხარისხს, არამედ მაღალ ეფექტიანობასაც მთელი სისტემის მუშაობაში.

აქვე უნდა ითქვას რომ ხუთწლედის დაძაბული, მაგრამ რეალური სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ არა მარტო მართვის დარგობრივ დონეზე, არამედ ტერიტორიული თვალსაზრისითაც — რესპუბლიკის ცალკეული რეგიონების მიხედვით.

1980 წელს რესპუბლიკის რეგიონების უმრავლესობაში მრეწველობა განვითარდება უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე ხუთწლიანი გეგმით იყო დასახული. ამავე დროს მეტად გვაფიქრებს, რომ სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპში ხუთწლიან დავალებასთან შედარებით წარმოიქმნება განსხვავება: აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქ. რუსთავში, ქ. გორში, ქ. ზუგდიდში, გურჯაანის, ზუგდიდის, ბორჯომის, ზესტაფონის, ბოლნისის, გარდაბნის, საჩხერისა და სხვა რაიონებში.

ამასთან დაკავშირებით ამ და სხვა ჩამორჩენილი რეგიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოები უახლოეს პერიოდში უნდა გაერკვნენ სამრეწველო წარმოების მოცულობისა და ზრდის ტემპის მიხედვით ხუთწლედის დავალებათა ჩაფუშვის მიზეზებში, გამოავლინონ დამატებითი შესაძლებლობანი, განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია თითოეული რეგიონის მიხედვით დაშვებული ჩამორჩენის მაქსიმალურად შესაძლო გამოსწორება. ამასთან უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ როლით, რომელიც ეკისრება მრეწველობას მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკის მიხედვით საზოგადოებრივი წარმოების ტერიტორიული პროპორციების სრულყოფაში, ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებისა და მათი სამეურნეო და კულტურული ზრდის მომწიფებული ამოცანების გადაწყვეტაში.

დასახული ამოცანების წარმატებული შესრულების მთავარ გზად კვლავ მიგვაჩნია არსებული რეზერვების მტკიცე ძიება და მათი ყველაზე ეფექტიანი გამოყენება. ასეთი რეზერვები არის თითოეულ დარგსა და თითოეულ საწარმოში, ყველა რეგიონში და ეკონომიკის ყველა დონეზე. ამ რეზერვებს შეიცავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ტექნოლოგიის სრულყოფა და წარმოების, შრომისა და მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესება, საწარმოო ფონდებისა და სიმძლავრეების უფრო სრული გამოყენება, ნედლეულისა და მასალების, ენერგორესურსების მომჭირნე ხარჯვა და შრომითი დანახარჯების შემცირება.

ასეთი რეზერვების წყაროა ჩაის, ყურძნის, ციტრუსებისა და მრეწველობის მიერ გადასამუშავებელი სხვა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მზარდი მოცულობა. მოქმედი საწარმოების სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესება, ახალი საწარმოო სიმძლავრეების დროული ამოქმედება და ათვისების დაჩქარება, ჰიდროენერგეტიკაში, ქიმიურ, მანქანათსაშენებელ, მსუბუქ და კვების მრეწველობაში, პროგრესული სტრუქტურული ძვრები პროდუქციის ასორტიმენტში და მისი ხარისხის ამაღლება.

(დასასრული მე-3 გვ.)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმი

(დასასრული)

დიდ და ჯერ კიდევ გამოუყენებელ რეზერვებს შეიცავს **შრომის ნაყოფიერების გადიდება.** თუმცა, უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკამ ცუდი შედეგები როდი მოიპოვა ამ მაჩვენებლით და ქვეყანაში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი დაიკავა, მაგრამ ჯერ კიდევ გვყავს ხელმძღვანელები, რომლებსაც, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ შეუგნიათ, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა საზოგადოებრივი პროგრესის ამოსავალი პირობაა. მაშ, სხვანაირად რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ თერთმეტი თვის მანძილზე გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერების დონე შემცირდა რესპუბლიკის 181 საწარმოში? გაუგებარია, როგორ ურიგდებიან სატყეო მრეწველობის სამინისტროს, სამშენ მასალათა მრეწველობის, მშენებლობის, დამზადების, ადგილობრივი მრეწველობის, კვების მრეწველობის სამინისტროების, სასოფლოტექნიკის ხელმძღვანელები იმას, რომ მათს სისტემებში შრომის ნაყოფიერების დონე შემცირდა 20-დან 41 პროცენტამდე საწარმოში!

რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და შრომის სახელმწიფო კომიტეტი შესაბამის სამინისტროებთან და საწარმოებთან ერთად უნდა გაერკვნენ, თუ რატომ შეიქმნა ასეთი მდგომარეობა შრომის ნაყოფიერების მხრივ, დასახონ და განახორციელონ დაშვებული ჩამორჩენის დაძლევის კონკრეტული ღონისძიებანი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად, რომელიც ამ საკითხზე ჯერ კიდევ შარშან იყო მიღებული. შესაბამისი სამინისტროებისა და საწარმოების ხელმძღვანელებმა კი, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებათა შესრულებას, პერსონალურად უნდა აგონ პასუხი ამისათვის. ვფიქრობ, რომ ჩვენ ცენტრალურ კომიტეტში პერსონალურად უნდა ვიმსჯელოთ ყოველ ასეთ ხელმძღვანელზე.

შრომის ნაყოფიერებისა და ფონდუკუგების დინამიკაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს **არსებული ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეების გამოყენება და ახალთა ათვისების დაჩქარება,** რაშიც ასევე ბევრი რეზერვია. მთელ რიგ დარგებს, და მთელ რიგ საწარმოებში საწარმოო სიმძლავრეთა დატვირთვა გაუარესდა კიდეც, კერძოდ, ასე მოხდა ფოლადის, აზოტიანი სასუქების, კაპრონის ძაფის წარმოებაში და სხვ. შეუწყნარებლად დაბალი მაჩვენებლებია ზოგიერთ მანქანათსაშენებელ საწარმოში: სოხუმის გაზის აპარატურის ქარხანაში სიმძლავრენი მხოლოდ 63 პროცენტით არის დატვირთული, ფოთის ქარხანა „ელექტროაპარატში" — 56 პროცენტით. ყოვლად შეუწყნარებელი მდგომარეობა შეიქმნა სახლთსაშენებელ კომბინატებში. აქ საშუალო მაჩვენებელი 38-52 პროცენტს არ აღემატება.

ბევრ საწარმოში ჯერ კიდევ დიდია **მოწყობილობის, მანქანებისა და მექანიზმების მოცდენები, დაბალია ცვლიანობის კოეფიციენტი.**

ჯერ კიდევ ცუდად ვიყენებთ საწარმოო სიმძლავრეებს სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაში, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ობიექტებზე.

წარმოების ეფექტიანობის ზრდის დიდმნიშვნელოვან რეზერვად რჩება **ბრძოლა დანაკარგების წინააღმდეგ, ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ენერგიის მომჭირნე ხარჯვისათვის.** ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის, რამდენადაც საქართველოს სახალხო მეურნეობას მაღალი მასალატევადობა ახასიათებს.

მაშასადამე, მომჭირნეობის რეჟიმის პრობლემა ღრმად უნდა იდგეს ყველა ჩვენი პარტიული და სამეურნეო ორგანოს ყურადღების ცენტრში, არადა მატერიალური რესურსების ნაკლებობის მიზეზი ხშირად არის არა მათი უქონლობა, არამედ მათი მფლანგველური გამოყენება ჩვენი სამეურნეო მუშაკების მიერ.

მომჭირნეობის რეჟიმთან მჭიდროდ არის დაკავშირებული **დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა,** რომლებიც აგრეთვე არსებული რესურსებისადმი, უკვე წარმოებული მატერიალური დოვლათისადმი დაუდევარი დამოკიდებულების შედეგია. რესპუბლიკის საზოგადოებრივი პროდუქტის ბალანსში აღრიცხული დანაკარგების საერთო ჯამმა ხუთწლედის სამი წლის მანძილზე 148 მილიონი მანეთი შეადგინა. იმავე სამ წელიწადში ჩვენ მშენებლობაშეწყვეტილი ობიექტების მარტო ჩამოწერის გამო 58 მილიონ მანეთზე მეტი დავკარგეთ.

ეს ის დანაკარგებია, რომლებსაც სტატისტიკური ორგანოები ითვალისწინებენ რესპუბლიკის საზოგადოებრივი პროდუქტის ბალანსის შედგენის დროს. მაგრამ არის დანაკარგები, რომლებიც, ყველა ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად, ვერ აღირიცხება, ისევე მოუგვარებელია მატერიალური რესურსების ხარჯვისა და დანაკარგების აღრიცხვა. არც სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, არც სახმომარაგებას არ გადაუდგამთ პრაქტიკული ნაბიჯი ამ მიმართულებით, არ აკონტროლებენ მატერიალური რესურსების გამოყენებას.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვები გვაქვს საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში **სამუშაო დროის უფრო რაციონალური გამოყენების** დარგში. საქმე ეხება საწარმოო, ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას. ამ მიმართულებით ბევრი რამ გავაკეთეთ. მაგრამ მრეწველობაში შრომის დისციპლინის განმტკიცება და, ამის საფუძველზე, სამუშაო დროის გამოყენების გაუმჯობესებაში კვლავაც ძალზე ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა. სამწუხაროდ ცალკეულ უბნებზე და ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით წელს მდგომარეობა გაუარესდა კიდეც. უკეთ როდია საქმე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც, განსაკუთრებით მშენებლობაში.

ამოცანა ის არის, რომ ავამაღლოთ ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის მდგომარეობისათვის. ეს არაერთხელ გვითქვამს, მიგვიღია სპეციალური გადაწყვეტილებანი, მაგრამ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ზოგიერთი ხელმძღვანელი მაინც ინერტულად ეკიდება შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლასთან დაკავშირებულ საკითხებს. როგორც ჩანს, ამ ნაწილშიც უნდა გავაუმჯობესოთ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი კონტროლი და მკაცრად მოვკითხოთ იმათ, ვინც ამ გადაწყვეტილებებს არ ასრულებს.

დიდი და ჭეშმარიტად ამოუწურავი რეზერვია **პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.**

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ სრულვყოთ ძირითად, ტექნიკურად რთულ სახეობათა პროდუქცია, რომელიც ჩვენი მრეწველობის მაღალ დონეს ასახავს, და არა მეორეხარისხოვანი ნაწარმი, როგორც ხდება ეს საწარმოებში, სადაც უმაღლესი კატეგორიის ნაწარმის რაოდენობის გადიდების შედარებით იოლ გზებს ეძებენ. გვინდა, რომ ორი ათასი დასახელების სახელმწიფო ხარისხის ნიშნიან ნაწარმს შორის, რომლებსაც რესპუბლიკის მრეწველობა უშვებს, წარმოდგენილი იყოს ელმავლები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, სერიული ჩარხები, ხელსაწყოების უმრავლესობა, სხვა მნიშვნელოვან სახეობათა ნაკეთობანი და, რა თქმა უნდა, სახალხო მოხმარების საქონელი.

ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილით საშუალო საკავშირო დონეს ჯერ კიდევ ჩამორჩებიან ისეთი დარგების საწარმოები, როგორიც არის ქიმიური, ელექტროტექნიკური, ჩარხსაშენებელი, ხელსაწყოთსაშენებელი, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა და ა. შ.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს რესპუბლიკის მრეწველობამ ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი უნდა გაზარდოს 20 პროცენტამდე, ესე იგი გამოუშვას 333 მილიონი მანეთით მეტი ღირებულებისა, ვიდრე წელს არის დასახული. სწორედ ამიტომ სამინისტროები და უწყებები, საწარმოები, აგრეთვე ჩვენი ავტონომიური ერთეულები, ქალაქები და რაიონები ახლავე უნდა შეუდგნენ პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავებას ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების 1980 წლის კონკრეტულ დავალებათა შესასრულებლად.

ამრიგად, ხარისხის მართვა უნდა მოვაგვაროთ ყველა დონეზე, როგორც დარგობრივი, ისე ტერიტორიული თვალსაზრისით, უზრუნველვყოთ მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გეგმების არა მარტო უთუო, არამედ გადაჭარბებითაც შესრულება.

მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის, სახალხო მეურნეობაში ყოველგვარი დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა მუდამ უნდა იყოს პარტიული და საბჭოთა ორგანოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ხელმძღვანელების ყურადღების ცენტრში.

იმას, თუ რა ბევრი რამ შეიძლება მოგვცეს ამ მიმართულებით მუშაობამ, და ჯერ კიდევ რამდენი გამოუყენებელი რეზერვი გვაქვს, მოწმობს წარმოების რეზერვების გამოყენების ეფექტიანობის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის გაძლიერების დათვალიერება, რომელიც ეწყობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოს, ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კონტროლის კომიტეტის გადაწყვეტილებით. დათვალიერების მეოხებით, მარტო წარმოების ზრდის ინტენსიური ფაქტორების გზით, რაიმე განსაკუთრებული მატერიალური, შრომითი და ფინანსური დანახარჯების გაუწევლად, გამოვლენილია 55 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციის გამოშვების **დამატებითი ზრდის** შესაძლებლობანი. საგრძნობი შედეგები მოგვცა რეზერვების გამოვლენამ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, ქუთაისში, ტყიბულში, სამტრედიის, თელავის, სიღნაღის, ცხაკაიას, ლანჩხუთის, ჩხოროწყუსა და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

მაგრამ დამატებითი რეზერვების გამოვლენა უნდა განვაგრძოთ და ეს ძიება ვაწარმოოთ უფრო კვალიფიციურად და მიზანმიმართულად. ამ მოთხოვნებს, სამწუხაროდ, არ შეესაბამება ზესტაფონის, მცხეთისა და ზოგიერთი სხვა რაიონის პარტიული კომიტეტების მუშაობა.

ეს მუშაობა ვერ დაგვაკმაყოფილებს, რადგან ჯერჯერობით გამოვლენილია მხოლოდ 90 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციის დამატებით გამოშვების რეზერვები, მაშინ როცა სამრეწველო წარმოების ზრდის მეათე ხუთწლედის დავალებათა გარანტირებული შესრულებისათვის ჩვენ, როგორც უკვე ითქვა, უნდა გამოვძებნოთ სულ ცოტა 140-150 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვების გადიდების შესაძლებლობანი.

ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ კარგი ხელმძღვანელი ის კი არ არის, ვინც სხვადასხვა მოსაზრებით მალავს წარმოების ზრდისა და სრულყოფის ნამდვილ შესაძლებლობებს, თუმცა საერთოდ სამინისტრო, დავუშვათ, მთლიანად და გადაჭარბებითაც კი ასრულებს საგეგმო დავალებებს, არამედ ის, **ვინც დარგს განუხრელად წარმართავს წარმოების რეზერვების რაც შეიძლება სრული გამოყენებისათვის, თითოეული შრომითი კოლექტივის, თითოეული სამეურნეო რგოლის მაქსიმალური უკუგებისათვის.** სწორედ ასეთი პოზიციებიდან შევაფასებთ ამა წლის დამლევს, ისევე როგორც ხუთწლედის ფინიშზე, შესაბამისი პარტიული კომიტეტების, სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობას. ახლა საქმე უნდა ეხებოდეს არა მარტო და არა იმდენად საგეგმო დავალებათა და ვალდებულებათა შესრულებას, რამდენადაც **დამატებით წვლილს,** რომელიც რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის გადიდებაში იქნება შეტანილი.

რეზერვების გამოვლენისათვის მუშაობა უნდა დავაჩქაროთ, კონკრეტულად გავაანალიზოთ ყველაფერი: სად, რომელ რეგიონებში, რომელ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რა მოცულობითა და რა შინაგანი რეზერვებისა და რესურსების ხარჯზე შეიძლება მივიღოთ პროდუქციის დამატებითი მატება. ეს პროცესი აგრეთვე უნდა ვმართოთ.

შინაგანი რეზერვების გამოვლენას, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმისათვის ბრძოლას სახალხო მეურნეობაში არ უნდა ჰქონდეს ხანმოკლე კამპანიის ხასიათი. ეს მუშაობა გათვალისწინებულია ხანგრძლივი პერსპექტივისათვის. ამიტომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ორგანოების მეცადინეობა უნდა მოხმარდეს, ჯერ ერთი, ამ მუშაობის ძირითადი რგოლებისა და უბნების განსაზღვრას; მეორე, წარმოების ზრდისა და სრულყოფის რეზერვების გამოვლენისა და გამოყენების ერთიანი სისტემის შექმნას, და მესამე, შრომითი კოლექტივების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფას დაძაბული შეხვედრი გეგმების შემუშავებასა და მათი შესრულებისადმი კონტროლის განხორციელებაში.

ასეთია, ამხანაგებო, 1980 წლის და, მთლიანად, მეათე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების ძირითადი გზები, ძირითადი მიმართულებანი. ჩვენი პარტიული, ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია რადაც უნდა დაგვიჯდეს მივაღწიოთ ამ მიჯნებს. ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმიტომ, რომ ჩვენი სამეურნეო საქმიანობის ყოველი წლის შედეგები ამავე დროს იმ მუშაობის შედეგების შეჯამებადაც უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც ვეწევით რესპუბლიკისათვის უმნიშვნელოვანესი თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ყველა შემდგომი გადაწყვეტილების შესრულებისათვის, რომლებშიც საბჭოთა საქართველოს დაჩქარებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური პროგრამაა დასახული.

მთელ ჩვენს შემდგომ საქმიანობაში, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანოების მთელ მუშაობაში უნდა ვხელმძღვანელობდეთ ძირითადი, მთავარი ამოცანით: საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო გეგმა, მეათე, საიუბილეო ხუთწლედის გეგმა უნდა შესრულდეს და უთუოდ შესრულდება კიდეც!

IV.

დღეს ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, და ეს ხაზგასმით აღნიშნა ნოემბრის პლენუმზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, თვისებრივად ახალ საფეხურზე გადავიყვანოთ **მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის მართვა.** სწორედ ამას გვისახავენ მიზნად ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილებანი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკითხებზე.

ამოცანები, რომლებიც ამ დოკუმენტებიდან გამომდინარეობს, უნდა განვიხილოთ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, მაგრამ არის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებსაც გვინდა უკვე დღეს მივაპყროთ პლენუმის მონაწილეთა ყურადღება.

საქმე ეხება იმას, რომ ჩვენს განვითარებაში ახლა ისეთ დონეს მივაღწიეთ, როცა უყაირათობის, მატერიალური და შრომითი რესურსებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ყველაზე უმნიშვნელო ფაქტებიც კი უკვე სრულიად შეუწყნარებელი ხდება.

ნოემბრის პლენუმზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მთელი გამოსვლა იმ აზრით არის განმსჭვალული, რომ ეკონომიკის მართვის სრულყოფა — ეს უწინარეს ყოვლისა არის **ყოველი რანგის ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობის ამაღლება მუშაობის მინდობილ უბანზე საქმის მდგომარეობისათვის.** სწორედ აქ არის დღეს წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების ერთ-ერთი ყველაზე მთავარი რეზერვი. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ გვყავს ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც მზად არიან დღისით-მზისით ეძებონ რეზერვები, სადაც გნებავთ, ოღონდ თავისთან არა.

ჩვენ ერთობ ხშირად მივმართავთ ხოლმე ჩვენს სამშენებლო სამინისტროებს, და მხოლოდ იმიტომ, რომ მშენებლობიდან იწყება ყოველი წარმოება. თუმცა, ჩვენ ამასთანავე ვიცით, რომ ამ დარგში არცთუ ურიგო ძვრებია მიღწეული. ეს, უდავოდ, იმ ამხანაგების დამსახურებაა, რომლებიც ამ დარგს ხელმძღვანელობენ. მიუხედავად ამისა, დღესაც უნდა ითქვას, რომ ამხანაგები ნ. ა. მეძმარიაშვილი და ი. ა. ხარატიშვილი, სხვა სამშენებლო ორგანიზაციებისა და უწყებების ხელმძღვანელები მეტად უყურადღებოდ ეკიდებიან ეკონომიკურ ანალიზს, გარკვეულწილად ზერელედ უდგებიან თავიანთ ორგანიზაციების საგეგმო და საფინანსო საქმიანობას, ესე იგი ყოველივე იმას, რითაც არსებითად განისაზღვრება კაპიტალური მშენებლობის მართვის დონე და ეფექტიანობა. მე არ დავიწყებდი, ამხანაგებო, ამის ლაპარაკს პლენუმის ტრიბუნიდან, ეს ამხანაგები რამდენჯერმე რომ არ გაგვეკრიტიკებინა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ამხანაგებს ყოველთვის როდი გამოაქვთ ჯეროვანი დასკვნები კრიტიკიდან. ასეთი, უკაცრავად, პასუხია, მიდგომა ძალზე ძვირად უჯდება რესპუბლიკას. მარტო მიმდინარე წელს ხომ საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისის შესავსებად მშენებლობის სამინისტროსა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროსათვის რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოიყო 14 მილიონ მანეთზე მეტი, მათ შორის მშენებლობის სამინისტროსათვის — 12,4 მილიონი. მაგრამ განა ჩვენი ბიუჯეტი მარტო იმისათვის არსებობს, რომ ამით ვზღოთ ჩვენი ცალკეული ხელმძღვანელების უუნარობა, რომლებიც პარტიის მოთხოვნების შესაბამისად ვერ მუშაობენ? ვფიქრობ, რომ საკითხის ასეთი დაყენება მარტო ამხანაგებს მეძმარიაშვილსა და ხარატიშვილს როდი ეხება — ეს გარკვეულწილად ეხება აგრეთვე თითქმის ყველა სხვა მინისტრსა და კომიტეტის თავმჯდომარეს.

მთელი ჩვენი პრაქტიკული საქმიანობა ავაგოთ ღრმა მეცნიერულ საფუძველზე — ასეთ ამოცანას ვუსახავთ ჩვენი ეკონომიკის თითოეული დარგის ხელმძღვანელებს. ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს **მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის როლი** რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებაში, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, მთელი ჩვენი მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებაში. უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მეცნიერები, ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, უწინარეს ყოვლისა მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები, საპროექტო-ტექნოლოგიური ორგანიზაციათა კოლექტივები უკანასკნელი წლების მანძილზე უფრო ღრმად და მჭიდროდ უკავშირებენ თავიანთ მუშაობას სახალხო მეურნეობის პრობლემებს.

მაგრამ ყოველივე ეს ვერ მიჩქმალავს იმ ფაქტს, რომ ასეთ ღონისძიებათა შესასრულებლად ხარჯების გადიდების მიუხედავად, მათი განხორციელების წლიური ეკონომიკური ეფექტი რესპუბლიკის ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით თითქმის ორჯერ ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ ჩვენს ქვეყანაში. ეს რომ მარტო სამეცნიერო დაწესებულებების და ჩვენი მეცნიერების მუშაობას მივაკუთვნოთ, სამართლიანი არ იქნებოდა; თუმცა ბევრ სამეცნიერო-კვლევითს ორგანიზაციაში მთელი რიგი საკითხებისა და პრობლემების დამუშავება ზოგჯერ მრავალი წლით ჭიანურდება, უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ გვყავს ისეთი სამეურნეო ხელმძღვანელები, მინისტრებით დაწყებული და საწარმოების დირექტორებითა და მთავარი ინჟინრებით დამთავრებული, რომლებსაც დღემდე ვერ გაუგიათ იმის საჭიროება, რომ უფრო მჭიდრო კონტაქტები იქონიონ მეცნიერებასთან, გამოიყენონ მისი მიღწევები.

რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის დაძაბული გეგმები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ დასახული ამოცანები მოითხოვს, რომ უაღრესად დავძაბოთ ჩვენი ძალები მეცნიერების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების დარგში. **მთავარი ამოცანა ის არის, რომ მეცნიერება დავუახლოვოთ წარმოებას, უზრუნველვყოთ მისი მიღწევების უფრო ოპერატიული და ეფექტიანი დანერგვა პრაქტიკაში.** ამ თვალსაზრისით მეტად პერსპექტიულად მიგვაჩნია მსხვილი საწარმოო ქვეგანაყოფების შემადგენლობაში მეცნიერულ-ტექნიკური რგოლის ჩართვა. მუშაობის ასეთი ორგანიზაციის გარკვეული გამოცდილება ჩვენ უკვე შევიძინეთ. ახლა რესპუბლიკაში უკვე მოქმედებს ხუთი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, რომელთა დადებითი გამოცდილება უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ.

უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ დავნერგოთ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების მუშაობის ორგანიზაციის უკვე არსებული გამოცდილება სოფლის მეურნეობაში. შეიძლება ამან აღმოგვაფხვრევინოს ის ვიწრო ადგილები, რომლებიც არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციაში, კერძოდ, ავამაღლოთ ჩაის მოვლა-მოყვანისა და კრეფის, ბოსტნეულის, თამბაქოს და სხვა კულტურების მოსავლის აღების მექანიზაციის დონე.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე, როგორც ცნობილია, მწვავედ დაისვა აგრარულ-სამრეწველო, უფრო ზუსტად — ქვეყნის **სასურსათო კომპლექსის** შემდგომი სრულყოფისა და მისი ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების საკითხი. უნდა მივაღწიოთ, — ხაზგასმით აღნიშნა ლეონიდ ილიას ძემ, — რომ შეუფერხებლად, შეთანხმებულად მუშაობდეს იმ ჯაჭვის ყველა რგოლი, რომელიც მინდორსა თუ ფერმას მომხმარებელთან აკავშირებს. აქ ყველაფერი მნიშვნელოვანია — ტრანსპორტი და ტარის წარმოება, პროდუქციის დაცვა-შენახვა და გადამუშავება, და ბოლოს, ვაჭრობა.

ეს უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს, რომ დღეს საჭიროა ამა თუ იმ დარგის მიერ პროდუქციის წარმოების მოცულობის არა მარტო და არა იმდენად გადიდება, რამდენადაც ის, თუ როგორ შეესაბამება ეს ზრდა საბოლოო მიზნის მიღწევას და, ამრიგად, იმ დარგთშორისი კომპლექსის გარკვეული ეკონომიკური პროგრამის რეალიზაციას, რომელშიც ეს დარგი შედის.

ამრიგად, ამოცანა ის გახლავთ, რომ კომპლექსურად და მიზანდასახულად გადავწყვიტოთ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია რესპუბლიკის სასურსათო კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი ცალკეული რგოლებისა და დარგების მართვასთან, დაგეგმვასთან, ორგანიზაციასთან და მატერიალურ სტიმულირებასთან. ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ სასურსათო, მით უმეტეს აგრარულ-სამრეწველო კომპლექსი ჩვენში ჩამოყალიბდეს **ორგანიზაციულად.**

დღეს განსაკუთრებით მწვავედ დგება **რეგიონალური ეკონომიკის საგეგმო ხელმძღვანელობის დონის ამაღლების საკითხი.** პრაქტიკა დაბეჯითებით მოითხოვს ტერიტორიული თვალსაზრისით სახალხო მეურნეობის განვითარებაში უკლებლივ ყველა მონახაზის შესრულებისადმი კონტროლის გაძლიერებას. ამ ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების უაღრესად აქტიური მონაწილეობით, მათი უშუალო დაინტერესებითა და ინიციატივიანობით, სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად მათი ერთნაირი პასუხისმგებლობით ყოველ საწარმოში, ყოველ შრომით კოლექტივში საქმის ვითარებისათვის.

ჩვენ უნდა გავზარდოთ განვითარების კომპლექსური ტერიტორიული გეგმების როლი რეგიონალური ეკონომიკის ხელმძღვანელობაში. რეგიონალური ხელმძღვანელი ორგანოებისათვის ეს გეგმები ძირითად საგეგმო დოკუმენტად უნდა იქცეს. ბუნებრივია, რომ ამასთან ერთად ვალდებული ვართ მთელი ხელმისაწვდომი საშუალებებით გავზარდოთ ტერიტორიული მგეგმავი ორგანოების როლი.

ეკონომიკის ტერიტორიული მართვის გაუმჯობესებისათვის მუშაობაში უფრო ფართოდ უნდა ჩავაბათ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტის ქვეგანაყოფები, რომლებიც მოქმედებენ თბილისში, აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქუთაისში, მახარაძეში, ზუგდიდში. ეს სოლიდური მეცნიერული ძალებია. ყოველმხრივ უნდა დავუჭიროთ მხარი აგრეთვე ამგვარი ქვეგანაყოფების შექმნას სამხრეთ საქართველოს რაიონებში, თელავსა და გორში, რის შემდეგაც ისინი განამტკიცებენ რესპუბლიკის ყველა ეკონომიკურ რაიონს.

V.

ამხანაგებო!

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში **დამკვიდრდა გარკვეული მეთოდები, შემუშავდა სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გარკვეული სტილი.** ეს არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომებზე სამეურნეო შედეგების ყოველკვარტალური და ყოველთვიური შეჯამება. ეს არის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მრავალი საკითხი, რომლებსაც ცენტრალური კომიტეტი განიხილავს, ეს არის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა და ცენტრალური კომიტეტის წევრთა მეთაურობით მოქმედი წარმომადგენლობითი კომისიების საქმიანობა. ეს გახლავთ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისა და კულტურათა მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერების მოწყობა.

მაგრამ თავადთავადი ის არის, რომ მიღებული გადაწყვეტილებანი მთლიანად შესაბამისობდეს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანებს, განუხრელად ხორციელდებოდეს. ჩვენ ოდნავადაც არ გვაკმაყოფილებს, მაგალითად, 1976 წლის ივლისში „თიანეთის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" მიღებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობა. ეს უდავოდ საჭირო, ცხოვრებით ნაკარნახევი დადგენილებაა და მასში კარგი ღონისძიებებია დასახული. მაგრამ, როცა ორი წლის შემდეგ მისი შესრულების მიმდინარეობა შევამოწმეთ, აღმოჩნდა, რომ ბევრი ღონისძიება, თურმე, დასახულ ვადაში არ შესრულებულა ან ნაკლები მოცულობით ხორციელდებოდა. ეგევე შეიძლება ითქვას ბევრი სხვა რეგიონის შესახებ მიღებულ დადგენილებებზეც.

განა საჭიროა იმის თქმა, რომ ასეთი დამოკიდებულება არარად აქცევს ამა თუ იმ გადაწყვეტილების აქტუალობას და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობას, ამცირებს პარტიული ორგანიზაციების, ხელმძღვანელი რესპუბლიკური ორგანოების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ეფექტიანობას? არადა, 1980 წლის სახელმწიფო დავალებათა შესრულება და მეათე ხუთწლედის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე აღინიშნა, მოითხოვს პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონის სერიოზულ ამაღლებას.

ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის დიდი გამოცდილება შეიძინა ბევრმა საქალაქო და რაიონულმა კომიტეტმა. დაკვირვებით, მიზანდასახულად მუშაობენ ამ მიმართულებით პარტიის თბილისის, ქუთაისის, ჭიათურის, ტყვარჩელის, ბათუმის საქალაქო კომიტეტები, აქტიურად ეძებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების გზებს პარტიის თელავის, გურჯაანის, მახარაძის, გეგუთის, ჩხოროწყუს, ხობის, წულუკიძის, აბაშის, გორის, ახალციხის, ლენტეხისა და ბევრი სხვა რაიკომი. აქ დანერგილია საწარმოებისა და მეურნეობების, საამქროების და ფერმების, უბნებისა და ბრიგადების ვალდებულებათა პროექტების წინასწარი განხილვა. ფართოდ გავრცელდა შეჯიბრებანი პროფესიების მიხედვით, დამრიგებლობის მოძრაობა, ოსტატობის კონკურსები, წარმოების რეზერვების დათვალიერებანი, მომჭირნეობის პირადი ანგარიშები. სულ უფრო ხშირად ისმენენ კომუნისტთა ანგარიშებს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების შესახებ და ა. შ.

მაგრამ, სამწუხაროდ, არის სხვა ხასიათის მაგალითებიც. საწარმოს საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის პოლიტიკური მხარის შეუფასებლობას, ადამიანთა ინტერესების უგულებელყოფას, ხელმძღვანელის მიერ თავისი აღმზრდელობითი როლის დავიწყებას ზოგიერთი წინდაუხედავი სამეურნეო მუშაკი სერიოზულ შეცდომებამდე მიჰყავს.

ჩვენ ჯერ არ გვქონია საუბარი ისეთ ნეგატიურ მოვლენაზე, როგორიც არის, მაგალითად, ზოგიერთი დიდი საწარმოს ხელმძღვანელთა ქედმაღლობა. აქაოდა, ჩვენ წამყვანნი ვართ, ძალზე საჭირო სახალხო-სამეურნეო პროდუქციას ვუშვებთ და, მაშასადამე, ყველაფერი უფლება გვაქვსო. არადა, სწორედ ასეთი განწყობილების შედეგია, რომ ისეთი საწარმოები, როგორიც არის ზესტაფონის ფეროშენადნობთა და თბილისის ჩარხსაშენებელი ქარხნები, ვეღარ ასრულებენ საგეგმო დავალებებს, რომ ამ შრომით კოლექტივებში მკვეთრად გაუარესდა მორალურ-ზნეობრივი ატმოსფერო, რომ ერთ დროს მოწინავე საწარმოები ზედიზედ თმობდნენ პოზიციებს და დაღმა მიექანებოდნენ. განა საჭიროა იმის თქმა, რომ ამან დაღი დაასვა ადამიანთა განწყობილებას, შეუბოჭა ენერგია? ასეთი რამ შეუწყნარებელია!

ამასთანავე, ჩვენ მზად ვართ ყოველნაირად წავახალისოთ ინიციატივიანი მუშაკები, რომლებიც ნიადაგ ეძებენ ახალს, თამამად მიმართავენ ექსპერიმენტებს, ნერგავენ ყოველივე პროგრესულს არა სიტყვით, არამედ საქმით. ასეთ ხელმძღვანელებს ჩვენ ვენდობოდით და კვლავაც ვენდობით — როცა ადამიანი გრძნობს, რომ მას ენდობიან, იგი ცდილობს უკეთ იმუშაოს, მეტი გააკეთოს.

შრომითი კოლექტივების ცხოვრება, მათი საზრუნავი და სიძნელენი, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემები, სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები სულ უფრო მეტად დგება პირველადი პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. ამას მოწმობს აგრეთვე პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამასწინანდელი ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის შედეგები, რომელთა მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო მეათე ხუთწლედის მეოთხე წლისა და, მთლიანად, ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლის გაძლიერების საკითხებს. კომუნისტებმა გააანალიზეს ყველა რგოლში მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის საკვანძო პრობლემები.

ამასთანავე, საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა გამოაშკარავეს მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რომლებიც ორგანიზატორულ, პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობაშია შემორჩენილი. პარტიული ორგანიზაციები უკეთ უნდა იყენებდნენ თავიანთ უფლებას მოისმინონ პარტკომის, პარტბიუროს სხდომებზე, კრებებზე დირექტორების, მთავარი ინჟინრების, საამქროთა უფროსების, ბრიგადირების, ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლების ანგარიშები, მოხსენებანი, ინფორმაცია. საჭიროა გააქტიურდეს ოსტატთა საბჭოს საქმიანობა, გაძლიერდეს მუშაობა საშუალო რგოლის ხელმძღვანელთა ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი განათლებისათვის, მატერიალური და მორალური წახალისების სისტემის სრულყოფისათვის.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების აქტიურობის ამაღლების ერთ-ერთი ეფექტიანი გზაა ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლი. ასეთი კონტროლი საყოველთაო სამუშაოა და მას სისტემატური ხასიათი უნდა ჰქონდეს. პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ახლა მოქმედებს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის სამი ათასზე მეტი კომისია, შეძენილია გარკვეული გამოცდილება. საჭიროა ყურადღებით შევისწავლოთ და განვაზოგადოთ მუშაობის ყველაზე საინტერესო, სასარგებლო, ეფექტიანი ფორმები. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა ახმეტის რაიონის ზემო ხოდაშნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის გამოცდილება ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის შემდგომი სრულყოფისათვის. სასარგებლო იქნებოდა პირველადი ორგანიზაციებისათვის მიგვეცა მეთოდიკური რეკომენდაციები ამ საკითხზე.

უკანასკნელი წლების პრაქტიკამ მთლიანად დაადასტურა, რომ მიზანშეწონილია პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ადგილობრივი პარტიული კომიტეტების ისეთი სამუშაო ორგანოების შექმნა, როგორიც არის მუდმივმოქმედი ან დროებითი კომისიები. ჩვეულებრივ, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა, ცენტრალური კომიტეტის წევრთა, ადგილობრივი პარტიული კომიტეტების წევრთა ხელმძღვანელობით მოქმედი კომისიები შესაძლებლობას გვაძლევენ წარვმართოთ სხვადასხვა უწყებების და ორგანიზაციის, ხელმძღვანელთა გარკვეული წრის მეცადინეობა ამა თუ იმ დარგში საბოლოო შედეგების მისაღწევად.

მაგრამ ჩვენში არის ისეთი კომისიებიც, რომელთა მუშაობის შედეგიანობა მცირეა, რომლებიც არასწორად წარმართავენ თავიანთ საქმიანობას და პარტიული ან საბჭოთა ორგანოების ერთგვარ „დუბლიორებს" წარმოადგენენ.

დიდ იმედებს ვამყარებთ რამდენიმე თვის წინათ შექმნილ ხელის შრომის მექანიზაციის საკითხთა კომისიაზე. იგი საკმაოდ ენერგიულად შეუდგა მუშაობას, ამოცანა ის არის, რომ რაც შეიძლება მალე მივიღოთ რეკომენდაციები, რათა ისინი უკვე მეთერთმეტე ხუთწლედის დამდეგს აისახოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმაში.

ამასთანავე, ცხოვრება გვიკარნახებს, რომ კომისია საჭირო აღარ არის, როგორც კი პრობლემა, რომლის გადასაჭრელადაც სპეციალური კომისია შეიქმნა, მართვადი ხდება და წყდება ჩვეულებრივი, სამუშაო წესით. მაგალითად, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან საკმაოდ ეფექტიანად მუშაობს მინიმალური კაპიტალური დაბანდებით მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის პრობლემათა სპეციალურად შექმნილი განყოფილება. აშკარაა, ამ შემთხვევაში შესაბამისი რესპუბლიკური კომისია, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ხელმძღვანელობს, საჭირო აღარ არის.

საგანგებოდ უნდა მოგახსენოთ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციისა და დისციპლინის განმტკიცების საკითხთა კომისიების მუშაობაზე, რომლებიც უკვე შექმნილია და მოქმედებს ცენტრალური კომიტეტის ყველა განყოფილებასთან, პარტიის ყველა საქალაქო და რაიონულ კომიტეტთან, თითქმის ყველა სამინისტროში, უწყებაში, დიდ საწარმოში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის რეკომენდაციით შექმნილი ეს კომისიები გახდა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმით ფრიად მობილური და შინაარსით ეფექტიანი ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ეს ბრძოლა ვაწარმოოთ ყოველდღიურად, საყოველთაოდ, მასშტაბურად, ორგანიზებულად და კომპეტენტურად.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომებზე ხშირად განვიხილავთ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებთან არსებული კომისიების მიერ მომზადებულ საკითხებს. ცენტრალური კომიტეტის სამდივნო პერიოდულად ისმენს ანალოგიური ადგილობრივი კომისიების ანგარიშებს. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინათ ჩაგვაბარეს თავიანთი საქმიანობის ანგარიში პარტიის ვანის, მახარაძის, მაიაკოვსკის, სამტრედიის, ცაგერისა და ჩოხატაურის რაიკომებთან არსებულმა კომისიებმა.

საჭიროა ღრმად გავაანალიზოთ ამ კომისიების საქმიანობა, განვაზოგადოთ მათი გამოცდილება, გამოვაშკარავოთ ნაკლოვანებანი, განვსაზღვროთ მუშაობის ამ სასარგებლო ფორმის შემდგომი სრულყოფის გზები, გავაძლიეროთ მათი მაკოორდინირებელი, სწორედ რომ, მაკოორდინირებელი როლი ყველა იმ სამსახურის ფუნქციონირებაში, რომლებიც მოწოდებულნი არიან მტკიცე წესრიგი დაამყარონ ყველგან და ყველაფერში, თვისებრივად ახალ დონეზე აიყვანონ შრომის, ტექნოლოგიური, სახელშეკრულებო, საგეგმო, საფინანსო დისციპლინა, ერთი სიტყვით, მთელი პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა.

ეს მით უფრო საჭიროა, რომ უყაირათობის, წამატებების, თვალის ახვევის, პროტექციონიზმის ფაქტები ჩვენში ჯერ არ აღმოფხვრილა. მარტო მიმდინარე წელს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საწარმოებსა და გაერთიანებებში გამოვლინდა ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი წამატებების ფაქტები; თვალისახვევის შემთხვევებია „შავმეორეულლითონის", „ფერადმეორეულლითონის" გაერთიანებებში, გაერთიანება „საქთევზმრეწვში", თბილისის ლითონკონსტრუქციათა ექსპერიმენტულ ქარხანაში, გორის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხანაში, გარდაბნის, თელავის, ახალქალაქისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

აქვე უნდა აღინიშნოს საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების აუცილებლობა. როგორც ცნობილია, ყოველი სამეურნეო წლის მიწურულს ეწყობა ხოლმე ცენტრალური კომიტეტის ისეთივე პლენუმები, როგორიც დღეს გვაქვს. სავალდებულოა შესრულდეს ამ პლენუმების გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს ხუთწლედის ყოველი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებას, ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომ სრულყოფას.

მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV, VIII და XIV პლენუმების ყველა მოთხოვნა როდი ხორციელდება. ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად წყდება, მაგალითად, რესპუბლიკის თერმული წყლების გამოყენების, დასავლეთ საქართველოში მევენახეობის განვითარების, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის პერსპექტივების საკითხები, ყოვნდება ვარციხჰესი-II-ის სიმძლავრეთა სრული ამოქმედება, რიტმულად არ წარმოებს ძირითადი ფონდების ამოქმედება მშენებლობაში და ა. შ.

ასეთ მდგომარეობას ვერ შევურიგდებით. პარტიული პლენუმების გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობისათვის მკაცრად მოვითხოვთ პასუხს, რადგან ეს სხვა არა არის რა, თუ არა უპასუხისმგებლობა, უდარდელი დამოკიდებულება საქმისადმი, დაკისრებული მოვალეობებისადმი, რასაც ჩვენ ყოველთვის ვებრძოდით და კვლავაც შევებრძოლებით.

და, როგორც ყოველთვის, ჩვენ ყურადღებას მივაპყრობთ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის გაძლიერებას, მათი განხორციელების უზრუნველყოფას დიდ მნიშვნელობას. ეს საკითხები უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული კანონების, დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ მოდუნებისა და დოყლაპიობის წინააღმდეგ ბრძოლასთან.

კრებებზე, სადაც ცენტრალური კომიტეტის წერილს განიხილავდნენ, მონაწილეებმა დააყენეს სოციალურ-ეკონომიკური, იდეურ-ზნეობრივი ხასიათის ბევრი დიდმნიშვნელოვანი საკითხი. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ კომუნისტთა ყურადსაღები, საქმიანი წინადადებანი, რომელთა მიზანია მართლწესრიგის განმტკიცება, მაქსიმალურად დაინერგოს და განხორციელდეს, აღმოიფხვრას ხარვეზები და ნაკლოვანებანი შინაგან საქმეთა ორგანოების, პროკურატურის, სასამართლოებისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში.

ხუთწლიანი გეგმის წარმატებით დამთავრებისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მიერ განსაზღვრული ამოცანების შესრულებისათვის მთელ ჩვენს მუშაობაში უნდა ვეყრდნობოდეთ ჩვენს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ, სამეურნეო აქტივს.

დიდი მუშაობა მოუწევთ ჩვენს პროფკავშირებს, ჩვენს კომკავშირს, რათა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ სოციალისტური შეჯიბრების მთელი საქმე, რომლის ორიენტირი უნდა იყოს ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება, შეხვედრი გეგმების შესრულებისათვის, მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის ბრძოლა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე მადლობით მოიხსენიეს შეიარაღებული ძალების მეომრები, რომლებიც თავდადებით ეხმარებოდნენ სოფლის მშრომელებს. დღეს გვინდა მადლობა მოვახსენოთ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების მეომრებს იმისათვის, რომ რესპუბლიკის მშრომელებს დიდ, საქმიან დახმარებას უწევენ ბევრი სახალხო-სამეურნეო საკითხის გადაწყვეტაში.

თანამედროვე ეტაპზე უახლოესი ამოცანა, მთელი ორგანიზაციული, მასობრივ-პოლიტიკური, იდეოლოგიური მუშაობის ძირითადი მიმართულება ის არის, რომ ყველა პარტიულ ორგანიზაციას, თითოეულ კომუნისტს, ყველა მშრომელს გავაცნოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში მოცემული დებულებები და დასკვნები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მასალები, მივუძღვნათ მათ სპეციალური მეცადინეობა მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში, მჭიდროდ დავუკავშიროთ განმარტებითი მუშაობა თითოეული შრომითი კოლექტივის პრაქტიკულ ამოცანებს.

დაე, რესპუბლიკის თითეულ მშრომელს ბოლომდე შეეგნოს თავისი პირადი შრომის საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ღირსეული ადგილი დაეკავებინოს სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში. მომავალი წელი ხომ, როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა, ეს იქნება არა მარტო მიმდინარე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, არამედ ბაზაც, რომელსაც მომდევნო ხუთწლედი დაეფუძნება.

ამხანაგებო!

იწურება 1979 წელი, მეათე ხუთწლედის მეოთხე წელი. დგება ახალი, 1980 წელი. **ეს არის განსაკუთრებული წელი, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის წელი, სკკპ XXVI ყრილობისათვის აქტიური მზადების წელი.** და ეს გვავალებს ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ვიშრომოთ განსაკუთრებულად, დამკვრელურად, ლენინურად.

ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXVI ყრილობას, აღვნიშნოთ იგი ახალი შრომითი მიღწევებით, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალი შესანიშნავი გამარჯვებებით, — ეს მარტო იმას როდი ნიშნავს, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ ხუთწლიანი გეგმის დავალებანი, თითოეულმა კოლექტივმა, ყოველმა კომუნისტმა, ყველა მოქალაქემ ყრილობას ღირსეული შრომითი საჩუქარი უნდა მოუმზადოს. ეს პატრიოტული მოძრაობა რესპუბლიკაში უკვე დაიწყო. იგი სულ უფრო იზრდება და ფართოვდება.

— ქუთაისელმა ავტომშენებლებმა გადაწყვიტეს ყრილობის გახსნის დღისათვის გამოუშვან ახალი საწევარი.

— ფოთელი გემთმშენებლები შექმნიან „ალბატროსის" ტიპის ლაინერების ახალ სერიას.

— ენგურის ჰიდრომშენებლები სამშობლოს უპატაკებენ მეხუთე აგრეგატის ამოქმედებას.

— რუსთაველი ქიმიკოსები ვადამდე აამოქმედებენ ელექტროლიზური მანგანუმის ორჯანგის საწარმოო სიმძლავრეებს.

საბჭოთა საქართველოს ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წვლილი საბჭოთა ხალხის შრომითი საქმეების საერთო ყულაბაში საგრძნობი, მნიშვნელოვანი, თვალსაჩინო უნდა იყოს — სწორედ ეს იქნება საუკეთესო შრომითი პატაკი სკკპ XXVI ყრილობისადმი!

მასების ცოცხალი შემოქმედება, საყოველთაო-სახალხო ენთუზიაზმი, მშრომელთა უფართოესი ფენების აქტიურობის ახალი აღმავლობა, მათი მზადყოფნა და ურყევი გადაწყვეტილება — უთუოდ შეასრულონ პარტიის გრანდიოზული წინასწარდასახულობანი, მტკიცედ იბრძოლონ დასახული მიზნის მისაღწევად — სწორედ ეს იქნება ჩვენი ხალხის პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობების საუკეთესო გამოვლინება.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, ავუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომ საქართველოს კომუნისტები, რესპუბლიკის ყველა მშრომელი ყველაფერს იღონებენ მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის, ლენინურ წინასწარდასახულობათა ხორცშესხმისათვის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას შეხვდებიან ახალი შრომითი გამარჯვებებით, ახალი სახელოვანი მიღწევებით, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ, დიდი ლენინის პარტიის სადიდებლად, კომუნიზმის გასამარჯვებლად!

დედაქალაქის საკონცერტო დარბაზებში

ნატიფი ხელოვნება

ხელოვნების მუშაკთა სახლის დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ი. ცხომელიძის ორმოცი წლის საშემსრულებლო მოღვაწეობისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო.

წლების განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის კონცერტმაისტერად ი. ცხომელიძის მოუღლელი მუშაობა და მაღალი პროფესიონალიზმი სანიმუშოა ყველა მუსიკოსისათვის. ამ ჩინებული სოლისტისა და გულისხმიერი ადამიანისადმი მადლიერების გრძნობით არიან გამსჭვალული მისი კოლეგები.

უზადო მუსიკალობისა და ბეჯითი შრომის მეოხებით ი. ცხომელიძემ დღემდე შეინარჩუნა არტისტული ღირსებანი — თბილი, მღერადი ტონი, გულითადი ლირიზმი, ექსპრესიული და ამასთან ნატიფი ფრაზირების უნარი. ამის დადასტურება იყო საღამოზე შემოთავაზებული ფრიად ორიგინალური, მევიოლინეთა რეპერტუარისათვის იშვიათი პროგრამა, რომელიც სავსებით შეესატყვისებოდა იუბილარის მხატვრულ გემოვნებას.

„შეჰერაზადას“ ზღაპრულმა ლირიზმმა პაგანინის უჭკნობ მელოდიებს დაუთმო ადგილი — ვიოლინოს და გიტარის დუეტით მუსიკის სახიერების ნატიფად გადმოცემამ და კოლორიტულმა ორნამენტაციამ სრულად შეგვაგრძნობინა გენიალური რომანტიკოსის პოეტური სული.

მხატვრულ სახეთა მრავალფეროვანი გალერეა წარმოაჩინა მუსიკოსმა ნაკლებად პოპულარული მინიატურული შედევრების — ფ. კარულის დუეტის (ვიოლინოსა და გიტარისათვის), დიაბელის მენუეტის და ა. დვორჟაკის სონატინას (ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის) შესრულებისას.

საიუბილეო კონცერტზე შედგა ორი პრემიერა — მანუელ დე ფალიას ესპანური ცეკვები ვიოლინოსა და გიტარისათვის (ა. გალუსტოვის ტრანსკრიფციით) და ახალგაზრდა კომპოზიტორის გ. პაატაშვილის ელეგია ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის. საღამოს მშვენებად იქცა სიბელიუსის ნაღვლიანი ვალსი, რომელშიც არტისტმა მუსიკის მთრთოლვარება ემოციურად და ტემპერამენტით გამოსახა. და ბოლოს მუსიკოსმა ჩვეული ვირტუოზულობით შეასრულა თავისი რეპერტუარის „ავანგარდული“ პიესა — „ტოროლა“.

იუბილართან ერთად წარმატება გაიზიარეს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტებმა — პიანისტმა ე. ძამაშვილმა და გიტარისტმა ა. გალუსტოვმა.

ა. ლორია.

თბილისური მოტივები



ახალი მიწისქვეშა გადასასვლელი ვაკის პარკთან.

ფ. კრიმსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მოჭადრაკეთა ჩემპიონატები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალთა [illegible]

ნონა გაფრინდაშვილის მრავალ ღირსებათა შორის ერთ-ერთი მთავარი გახლავთ დიდი სპორტული შემართება. თუ ნონამ ოდესმე ვინმესთან წააგო, მის ჯავრს „გულში იდებს“. წლეულს სპარტაკიადაზე წაგების შემდეგ გაფრინდაშვილმა, როგორც ჩანს, „შავ სიაში“ შეიტანა ფატალიბეკოვა და მეოთხე ტურში ღირსეული რევანში აიღო.

კარგა ხანია, შემჩნეულია, რომ მაია ჩიბურდანიძის „მატარებელს“ სტარტზე რამდენადმე უჭირს „სიჩქარის ჩართვა“, მაგრამ შემდეგ დიდ სისწრაფეს ავითარებს. ამჯერად მაია (მას ეტყობა, ბადკისინგენის ტურნირმა უშველა) სწრაფად ამოძრავდა და მორიგი გამარჯვება ზაიცევასთან მოიპოვა. კოზლოვსკაიამ პირველი დამარცხება აგემა სემიონოვას.

მეხუთე ტურმა თბილისელი მოჭადრაკეებისათვის ძალიან კარგად ჩაიარა. ზედიზედ მესამე გამარჯვება, ამჯერად ვორონოვასთან მოიპოვა ჩიბურდანიძემ. ამასთან იგი ყაიმზე შეუთანხმდა მეორე ტურიდან გადადებულ პარტიაში სემიონოვას და სტარტის შედეგებით შეიძლება სავსებით კმაყოფილი იყოს — 5 თამაშიდან 4,5 ქულა თვით მსოფლიოს ჩემპიონისთვისაც კი მაღალი და საპატიო შედეგია. ასევე ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა გაფრინდაშვილმა, რომელიც სემიონოვას ეთამაშებოდა და მიუახლოვდა ლიდერს. ალექსანდრიამ მოუგო სტუპინას, ზაიცევამ — კოზლოვსკაიას. ყაიმზე შეთანხმდნენ ლიტვინსკაია-გრინფელდი, ბილოვენეც-ფატალიბეკოვა, პოპოვა-ლევიტინა და მუჩნიკ-მინოგინა, დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში ქალთა 39-ე ჩემპიონატის მეექვსე ტურის შეხვედრები გაიმართა. გაფრინდაშვილმა მოუგო ბილოვენეცს, ალექსანდრიამ — მინოგინას, ლევიტინამ — მუჩნიკს, გრინფელდმა — პოპოვას. სტუპინა ყაიმზე შეუთანხმდა ახმილოვსკაიას, ფატალიბეკოვა — ლიტვინსკაიას. ჩიბურდანიძეს მოსაგები პოზიცია აქვს კობაიძესთან.

6 ტურის შემდეგ 4,5 ქულით და 1 გადადებული პარტიით ლიდერობს ჩიბურდანიძე. გაფრინდაშვილს 4 ქულა აქვს.

გ. გამრეკელი.

ნერგი გავზარდოთ, ბაღი მოვაშენოთ

შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობა საერთო საზრუნავია

1976 წლის ოქტომბერში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“. მას შემდეგ სამ წელზე მეტი გავიდა და დღეს უკვე შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რა გაკეთდა ჩვენს რესპუბლიკაში იმისათვის, რომ შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობა უფრო მიმზიდველი და შედეგიანი გამხდარიყო.

ჩვენი ქვეყნის განვითარების დღევანდელმა ეტაპმა მოითხოვა ახალგაზრდა შემოქმედთა აღზრდის მდგომარეობით ახალი დაინტერესება, რათა ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად ხორციელდებოდეს ეს დიდი და ამასთანავე სპეციფიკური საქმე. პარტიის XXV ყრილობამ ახალგაზრდა შემოქმედთა შესახებ საგანგებოდ აღნიშნა: „ამაღლდა საბჭოთა ხელოვანი ინტელიგენციის, მათ შორის ახალგაზრდობის შემოქმედებითი აქტიურობა. ახალგაზრდა ლიტერატორებმა, კომპოზიტორებმა, თეატრის, კინოსა და ტელევიზიის მუშაკებმა უკანასკნელი წლების მანძილზე შექმნეს ნაწარმოებები, რომლებმაც საზოგადოებრივი აღიარება დაიმსახურეს.“ ამ მაღალ შეფასებასთან ერთად ყრილობაზე ისიც ითქვა, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობა.

ახალგაზრდა ხელოვნების მუშაკებთან მთელ მუშაობას საფუძვლად უნდა ედოს მათდამი გულისხმიერი, პატივისმცემელი დამოკიდებულების შეხამება მომთხოვნელობასა და პრინციპულობასთან. უნდა შევისწავლოთ ახალგაზრდობის პრობლემები და საჭიროებანი, დავეხმაროთ მათ თავისი ნიჭის გამოვლენაში, წარვმართოთ ტალანტების განვითარება შემოქმედებითი გზით, განვამტკიცოთ მათი კავშირი ცხოვრებასთან, განვავითაროთ მათი საზოგადოებრივი აქტიურობა, სრულვყოთ სკკპ რიგებში ახალგაზრდა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა მიღების პრაქტიკა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხარს უჭერს შემოქმედებითი კავშირების ინიციატივას, რომ შეიქმნას ახალგაზრდობასთან მუშაობის საბჭოები (კომისიები), ჩააბან ახალგაზრდობასთან მუშაობაში ლიტერატურისა და ხელოვნების ავტორიტეტული ოსტატები, უფრო ფართოდ დაინერგოს თეორიული სემინარების, შემოქმედებითი თათბირებისა და დისკუსიების პრაქტიკა.

როგორი ვითარებაა ამ თვალსაზრისით საქართველოში, რა პრობლემები დგას ქართველი შემოქმედებითი ახალგაზრდობის ცხოვრებაში, როგორ წყვეტენ ამ პრობლემებს ადგილობრივი შემოქმედებითი კავშირები და სხვა ორგანოები?

დადგენილების მიღების შემდეგ ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა და ამ ღონისძიებებს შედეგებიც ურიგო როდი მოჰყვა. ამ საკითხზე იმსჯელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება; საკითხის განხილვას მიეძღვნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, საქართველოს მწერალთა კავშირმა ეს საკითხი აგრეთვე განიხილა თავის პლენუმზე, შეიქმნა ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბიურო მწერალთა კავშირის მდივნის პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის ხელმძღვანელობით, საქართველოში მოქმედებს ახალგაზრდული თეატრი „მეტეხი“, თბილისის კონსერვატორიაში შექმნილია საოპერო სტუდია, რომელიც ახალგაზრდა ვოკალისტთა და მუსიკოსთა წრთობის კერაა, თეატრალურ ინსტიტუტში მოქმედებს სტუდენტური თეატრი, ეწყობა ახალგაზრდა მხატვართა გამოფენები და ა. შ. სამ ათეულ წელზე მეტია უნივერსიტეტში ნაყოფიერად მუშაობს ახალგაზრდა მწერალთა წრე. აღსანიშნავია, რომ საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა და მოიწონა საქართველოს კომკავშირის მოღვაწეობა ამ დარგში, რაც საგულისხმო და სასიამოვნო ფაქტია.

ახალგაზრდა შემოქმედებითს ინტელიგენციასთან ჩვენს რესპუბლიკაში გაწეული მუშაობის შესახებ დაიწერა „პრავდაშიც“. 1977 წლის 11 იანვარს „პრავდაში“ გამოქვეყნდა ს. კოშეჩკინისა და გ. ლებანიძის წერილი „ფორმა სხვადასხვაა, მიზანი — ერთი“, რომელიც საქართველოს შემოქმედ ახალგაზრდობას ეხება. ავტორები გულთბილად წერენ უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრის თენგიზ ჩალაურის მოთხრობაზე „ორმოცდასამი და შვიდი ბღუჯა“, რომელიც 1976 წელს მოსკოვის ალმანახ „როდნიკის“ მეოთხე გამოშვებაში დაიბეჭდა, ხოლო მანამდე, 1975 წელს, უნივერსიტეტის დახურულ კონკურსში მან პირველი პრემია დაიმსახურა. ამ მოთხრობაზე „პრავდაში“ წერია: „თუ ეს წიგნი არ წაგიკითხავთ, აუცილებლად წაიკითხეთ. ავტორი ახალგაზრდაა, მაგრამ რა კარგად წერს, როგორ გვაღელვებს მისი სიტყვა“. ახალგაზრდა ლიტერატორისათვის ეს დიდი მხარდაჭერა იყო. დასანანია, რომ ამ ავტორის პირველი წიგნი ჯერაც არსად ჩანს.

„პრავდის“ ამავე წერილში ნათქვამია, რომ ახალგაზრდა ქართველ პოეტებს, პროზაიკოსებს, დრამატურგებს ხშირად შეხვდებით ქვეყნის სხვადასხვა მშენებლობაზე. მაგალითად, ბამზე იყვნენ დილარ ივარდავა და ვანო ჩხიკვაძე. მათ ლექსები და ნარკვევები უძღვნეს ბამის გმირებს. მათი წიგნებიც გამოვიდა. საქართველოს ახალგაზრდა ლიტერატორები ხშირად მიდიან ქარხნებში, ჩაის პლანტაციებში, ფერმებში, ზვრებში, რათა ახლოს გაეცნონ მშრომელი ადამიანის შინაგან სამყაროს, უფრო ღრმად შეიცნონ მათი ხასიათები. წერილში დასახელებული არიან მივლინებაში მყოფი ახალგაზრდა მწერლები თ. ჩალაური და ე. ნიჟარაძე (კახეთში), ჯ. დავლიანიძე (ყიზლარში) და სხვ., მოწონებულია საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილი შემოქმედი ახალგაზრდობის რესპუბლიკური ცენტრის საქმიანობა, შემოქმედებითი სემინარები, შეხვედრები და სხვ., მოწონებულია მეტეხის თეატრ-სტუდიის მუშაობაც, დასახელებული არიან აქ მომუშავე ახალგაზრდა შემოქმედნი — ს. მრევლიშვილი, ა. ჩხიკვიშვილი, დ. ბედიანიძე, ს. სიგუა და სხვები.

„პრავდის“ წერილში მითითებულია ნაკლიც. მეტი სიმკაცრით უნდა ვეკიდებოდეთ დასაბეჭდად შერჩეულ ნაწარმოებებს, კრიტიკოსები მოწყალებას უფრო იჩენენ, ვიდრე მომთხოვნელობას, უნდა ამაღლდეს ახალგაზრდა მწერლის პასუხისმგებლობის შეგნება.

დღევანდელ საქართველოს ჰყავს შესანიშნავი ახალგაზრდა ლიტერატორები, მარტო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეში ამ ბოლო წლების აღზრდილები რომ დავასახელოთ, მშვენიერ სიას მივიღებთ: ავთანდილ გაფრინდაშვილი და ავთანდილ ჩხიკვიშვილი, მაკა ჯოხაძე და ბადრი ქოხონელიძე, კრიტიკოსი და მთარგმნელი ლევან ბრეგაძე, თედო ბექიშვილი და ვაჟა ხარანაული, ვანო ჩხიკვაძე და დილარ ივარდავა, ლაშა თაბუკაშვილი და ლადო კოკაია, თენგიზ ჩალაური და ენვერ ნიჟარაძე, თემურ აბულაშვილი და პაატა ნაცვლიშვილი, დალილა ბედიანიძე და ნინო ქუთათელაძე, გივი ალხაზიშვილი და ჯემალ დავლიანიძე, რაულ ჩილაჩავა და ვახტანგ ხარჩილავა, ჯარჯი ფხოველი და მამუკა წიკლაური, ჯაბა ასათიანი და ზაურ მოლაშხია, დოდო ჯაჭვლიანი და ომარ გვეტაძე, ტარიელ ხარხელაური და მიხეილ ანთაძე, მრავალი სხვაც... ზოგმა წიგნიც გამოსცა, მათ პრესაც გამოეხმაურა.

გარდა უნივერსიტეტში აღზრდილი ახალგაზრდა მწერლებისა ჩვენ გვყავს სხვებიც, ძალზე საინტერესო შემოქმედნიც. მაგალითად, ნუგზარ შატაიძე, რომლის მოთხრობებიც არა მარტო ცხოვრებისეული სიბრძნით, არამედ პროფესიული დონითაც გამოირჩევა. არიან სხვებიც.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი და მწერალთა კავშირი გულისხმიერებას და ყურადღებას არ აკლებენ შემოქმედ ახალგაზრდობას. მათ კარგად ახსოვთ პარტიის XXV ყრილობაზე ნათქვამი სიტყვები: „ნამდვილი ტალანტი იშვიათად გვხვდება, ლიტერატურისა და ხელოვნების ნიჭიერი ნაწარმოები ეროვნული სიმდიდრეა“ და რომ ტალანტებს მოვლა და მზრუნველობა სჭირდება.

ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობაზე კარგად თქვა ნოდარ დუმბაძემ თავის წერილში „გამოდით, თქვენი ჭირიმე!“ („ლიტერატურულ საქართველოში“). ავტორი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა მწერლებს უნდა ახასიათებდეთ ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა. ეს ორივე თვისება ერთად უნდა იყოს შეზავებული. მწერალი მოხდენილად იმოწმებს დ. გურამიშვილისადმი მიძღვნილ ვაჟა-ფშაველას ლექსს: „შენ ჩემო წინამორბედო, უძვირფასესო პაპაო... ტანთ ფეხშიშველი დავდივარ, ცოლს არ მიცვია კაბაო, შენის ცრემლებით მოვხარშე ჩემი გრძნობების ფაფაო, ამგვარი საჭმლის კეთებას დიდი სდომია ჯაფაო...“ ვაჟას აზრი, რომ შემოქმედებითს მუშაობას დიდი ჯაფა სჭირდება, ყველა ახალგაზრდას უნდა ახსოვდეს.

ახალგაზრდა შემოქმედებთან უფროსი თაობის მწერალთა დამოკიდებულებაზე ნ. დუმბაძემ მოხდენილად თქვა: „თუ ჩვენმა ერმა და მამულმა დაგვავალა და მოგვანიჭა უმაღლესი მისია მებაღისა, ხელში მოგვცა მაკურნებელი სასხლავი და არა დეკორატიული მებაღის მანიკელირებელი მაკრატელი, ჩვენი ერის ახალგაზრდობის ბედი ჩვენს ხელთ არის, ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ დიდებულ ნერგს გავზრდით, როგორ ნაყოფიერ ბაღს მოვაშენებთ“.

ლიტერატორი ახალგაზრდობის ბედზე საუბარი გაიმართა ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციაში მოწყობილ გაფართოებულ სხდომაზეც, სადაც ილაპარაკეს როგორც ცნობილმა მწერლებმა, ისე ლიტერატორმა ახალგაზრდობამაც. მათ საყურადღებო წინადადებები და მოსაზრებები გამოთქვეს, აქ აღინიშნა წარმატებებიც და ნაკლიც.

გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ ტრიბუნა დაუთმო ცნობილ მწერლებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ახალგაზრდა შემოქმედთა ბედით: რუბრიკით „სიტყვა ახალგაზრდა შემოქმედზე“ გაზეთმა გამოაქვეყნა ჯანსუღ ჩარკვიანის „ფრთები ფრენისას მაგრდება“ და ალიო ადამიას წერილი „მხოლოდ ნიჭიერი!“. ორივე ამ წერილში საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული. ჯ. ჩარკვიანის მთავარი დებულება: „ცხადია, არავითარი შეღავათი არ შეიძლება, როცა ლაპარაკია იდეურ და მხატვრულ კრიტერიუმებზე, მაგრამ ახალგაზრდებს უნდა ვეხმარებოდეთ, ეს ჩვენი მოვალეობაა. მათ შესაძლებლობა უნდა მივცეთ, რომ დაიბეჭდონ, ე. ი. მკითხველის სამსჯავროზე გამოვიდნენ, ფრთები ხომ ფრენისას მაგრდება!“

ალიო ადამია კი გამოყოფს სამ საკითხს: ახალგაზრდა ავტორის პირველი წიგნის გამოცემა, ამ წიგნის რეკომენდატორები და მწერალთა კავშირის წევრად ახალგაზრდის მიღება. მწერალი ავითარებს აზრს, რომ კავშირში უნდა ვიღებდეთ მხოლოდ ნიჭიერებს, ხოლო ე. წ. „მოხერხებულებსა“ და „გამტანებს“ გზა უნდა გადავუკეტოთ. ვფიქრობთ, ორივე ამ მწერლის დებულებები სწორი და მისაღებია.

საქართველოს მწერალთა კავშირის პლენუმმა სპეციალურად განიხილა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ და მწერალთა კავშირის ამოცანები. შესავალ სიტყვაში გრ. აბაშიძემ, მომხსენებლებმა გ. ასათიანმა, გ. გვერდწითელმა, ა. სულაკაურმა, გ. ხუხაშვილმა, ზ. აბზიანიძემ, ო. ნოდიამ ილაპარაკეს ახალგაზრდათა პროზაზე, პოეზიაზე, საბავშვო მწერლობაზე, დრამატურგიაზე, კრიტიკაზე, თარგმანებზე.

დასახელებული პლენუმი საჭიროც იყო და დროულიც, მისი ორატორებიც კარგად ლაპარაკობდნენ, მაგრამ ის მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ მასში აქტიური მონაწილეობა არ მიუღიათ ახალგაზრდა მწერლებს, რომელთა ბედზეც აქ იყო ლაპარაკი.

როგორც ვხედავთ, დასახელებული დადგენილების განხორციელების მიზნით საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა.

დადგენილების ერთ-ერთი ძირითადი დებულება ის არის, რომ გამოვავლინოთ და აღვზარდოთ ნიჭიერი შემოქმედი ახალგაზრდობა, ამ საქმისათვის არ დავზოგოთ არც ძალები და არც სახსრები, მის პროფესიულ და იდეურ წრთობაში ჩავაბათ ავტორიტეტიანი, თვალსაჩინო სპეციალისტები, რათა შემოქმედებითი ახალგაზრდობა ვაზიაროთ საბჭოური და საკაცობრიო კულტურის მიღწევებს. ეს ძალზე კარგი და აუცილებელია.

ჩვენ ზემოთ დავიმოწმეთ ცნობილი მწერლები, რომლებიც მხარს უჭერენ ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებთა პუბლიკაციას და ხატოვნად ამბობენ, „ფრთები ფრენაში მაგრდებაო“. ეს სწორია, მაგრამ ამის მხოლოდ აღიარება არ კმარა. ჯერ კიდევ ჭირს ახალგაზრდათა ნაწარმოებების ბეჭდვა. „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „ცისკარი“ საამისოდ პირდაპირ არიან მოწოდებული, მაგრამ აქ გამოქვეყნებული მასალები მაინც არ არის საკმარისი. ისიც უნდა ითქვას, რომ „ცისკრის“ ავტორთა ასაკმა 40-50 წელიწადს გადააბიჯა. ხომ არ დადგა დრო, საქართველოში იყოს ერთი ლიტერატურული ჟურნალი, რომელიც მხოლოდ ახალგაზრდობას მოემსახურებოდა? ორში ერთი: ან ასე უნდა მოხდეს, ან „ცისკარი“ დავუბრუნოთ ახალგაზრდებს...

სასურველად მიგვაჩნია აგრეთვე და ეს დადგენილებაშიც პირდაპირ წერია, რომ სარედაქციო კოლეგიებში ჩავაბათ ახალგაზრდა ძალები. ვიყოთ გულახდილნი და ვთქვათ, განა ჩვენი ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების სარედაქციო კოლეგიები მხოლოდ საქმიანი ნიშნით არის შედგენილი?

გვჯერა, რომ ჩვენი სურვილების გათვალისწინება და მათი განხორციელება საქმის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

მიუხედავად ზოგი ხარვეზისა და ნაკლისა, ჩვენს შემოქმედ ახალგაზრდობას კეთილმყოფელ გარემოში და ვითარებაში უხდება ცხოვრებისა და მოღვაწეობის დაწყება. უფროსი თაობის მწერლები მათ მიმართ შეიძლება „კეთილი შურით“ ივსებოდნენ, რადგან წინათ არასოდეს ყოფილა შემოქმედი ახალგაზრდა ესოდენი ყურადღებითა და ზრუნვით გარემოსილი. ახალგაზრდა შემოქმედს პარტიამ სავალი გზა გაუწალდა და გაუნათა, წარმატებების მოსაპოვებლად ყველა პირობა შეუქმნა. ახლა ახალგაზრდის ნიჭიერებასა და შრომისმოყვარეობაზეა დამოკიდებული მისი შემოქმედებითი აღმასვლა. პარტიის ზრუნვას მათ უხვი და საუკეთესო ნაწარმოებებით უნდა უპასუხონ.

ტ. კვანჭილაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის ხელმძღვანელი, პროფესორი.

სიტყვა უბრალო ადამიანებზე

გაჭირვების ტალკვესი

საავადმყოფოს ეზოში, პალატიდან პალატაში, ოთახიდან ოთახში თეთრ თოლიასავით დაქრის ტანმორჩილი, ცისფერთვალება გოგონა. დიახ, გოგონა ასე იტყვის მასზე ყველა, ვინც არ იცნობს, ის კი უკვე სამი შვილის დედაა.

— ესმა, ცოტა ხანს მოდი აქ!

— ესმა, დოლბანდი წამომიღე!

...დღენიადაგ გაისმის სიღნაღის რაიონის საავადმყოფოში. ის ყველას სჭირდება, ყველა რაღაცას ავალებს, ალბათ იმიტომ, რომ მისთვის თქმა და შესრულება ერთია ხოლმე.

საოპერაციო ოთახში ოცდახუთი წლის გონმიხდილი ქალი ნ. ყორღანაშვილი შემოიყვანეს. მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ვერც ნემსმა და ვერც სხვა წამალმა უშველა.

— სისხლი, ახალი სისხლი!

— წამოიძახა ექიმმა.

მედდა ესმა ბეროშვილმა ცრემლმორეული თვალები შეიმშრალა და ექიმს მიმართა:

— მე ამიღეთ, იქნებ ჩემი სისხლი გამოადგეს.

ასეც მოხდა. ესმამ ახალგაზრდა მშობიარე ქალს სიცოცხლე აჩუქა.

ეს იყო რამდენიმე წლის წინათ.

მას შემდეგაც ესმას, რომელსაც პირველი ჯგუფის სისხლი აღმოაჩნდა, არც ერთი გაჭირვებულისათვის იგი არ დაუზოგავს. თავისი სურვილით, უსასყიდლოდ გადასცა სისხლი მძიმე მდგომარეობაში მყოფ ნელი ალხანიშვილს, იზა ჭაბაშვილს და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენს.

ახლა ესმა ბეროშვილს, როგორც დონორს, კეთილშობილ ადამიანსა და საქმის ერთგულს, ყველა იცნობს არა მარტო რაიონულ საავადმყოფოში, არამედ მთელ სიღნაღში.

— მე თავს კიდევ უფრო მხნედ და ხალისიანად ვგრძნობ. ალალი იყოს ჩემი სისხლი ყველა გაჭირვებული ადამიანისათვის, — ამბობს ესმა.

ისე არაფერი გაახარებდა ესმას ახლა, როგორც არმიიდან შვილის მიერ გამოგზავნილი წერილი. ის სიყვარულით ულოცავს დედას დაბადების დღეს, უსურვებს ჯანმრთელ და ბედნიერ სიცოცხლეს.

ქალი მშრომელი, ქალი დედა, ქალი სიცოცხლის და სიკეთის მთესველი!

ესმა ბეროშვილი ერთ-ერთი იმათთაგანია.

ვლ. მჭედლიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

იმ ქარცეცხლიან დღეთა გახსენება

მამის ხსოვნა

სულ პატარა ჰყავდა თამარს შვილი, როცა მისი მეუღლე სერგო ანთაძე სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. ეს იყო 1939 წელს. მაშინ ისინი ზეინკლად მუშაობდნენ თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში.

მოუთმენლად ელოდა ყმაწვილი ქალი საყვარელი მეუღლის დაბრუნებას. ის იყო წერილი მიიღო, მოვდივარო, რომ დიდი სამამულო ომიც დაიწყო და ს. ანთაძე ფრონტზე გაემგზავრა. მეუღლის უკანასკნელი ბარათი თამარს ქ. პენზიდან მოუვიდა. იგი სწერდა: სტალინგრადთან დავიჭერი, აქ ევაკოჰოსპიტალში ვწევარ, ძალიან მენატრებით და იქნება შენი და ჩემი პატარა ლერის ფოტოსურათები გამომიგზავნოთო.

გავიდა ხანი, მისგან აღარაფერი ისმოდა. და აი ნაწილიდან სამწუხარო ცნობა მოვიდა: სერგო სევერიანეს ძე ანთაძე 1943 წლის 4 აგვისტოს გმირულად დაიღუპა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში და ორიოლის ოლქის სოფელ ჩერნიში არის დაკრძალული. ცნობას ხელს აწერდა 29-ე მსროლელი კორპუსის უფროსი ლეიტენანტი ტ. კულბიდა. მოგვიანებით ტ. კულბიდამ უფრო ვრცელი წერილი გამოუგზავნა დაღუპულის ქვრივს. იგი სწერდა, რომ სერგო ანთაძე იყო მამაცი მეომარი, საუკეთესო ამხანაგი და ყველასათვის საყვარელი ადამიანი.

გავიდა წლები. თამარი მემანქანის თანაშემწედ მუშაობდა. დავაჟკაცდა მისი ერთადერთი ვაჟი ლერი ანთაძე, რომელმაც სპორტში არაერთხელ ისახელა თავი: იყო მძლეოსანი, საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი.

სადაც უნდა ყოფილიყო ლერი, მამის ხსოვნა მუდამ თან სდევდა. ეძებდა მამის საფლავს, მის თანამებრძოლს ტ. კულბიდას, რომლის შესახებაც შეიტყო, რომ სამამულო ომის დამთავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გარდაცვლილიყო.

ამ ცოტა ხნის წინათ შვილმა მამის საფლავს მიაგნო. იგი ორიოლის ოლქის სოფელ ჩერნიში ჩავიდა, სადაც საძმო საფლავზე განისვენებს ს. ს. ანთაძე. მამის საფლავის ძებნაში ლერიმ სხვა ქართველი მებრძოლების საფლავებსაც მიაკვლია და გვთხოვა, მათი გვარები გაზეთის საშუალებით გაგვეცნო მკითხველებისათვის. იქნებ დაღუპულთა ახლობლებმა არც კი იციან, სად განისვენებენ მათი ძვირფასი ადამიანები. აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანი 43 წელს დაღუპულა და ორიოლის ოლქის სხვადასხვა საძმო საფლავებში განისვენებენ. აი ისინიც: 894-ე მსროლელი კორპუსის ლეიტენანტი **ნერონ ვასილის ძე ნადარაია** (აბაშის რაიონის სოფელ ზანათიდან), სერჟანტი **არონ გიორგის ძე გუჯაბიძე** (დაბადებული 1906 წ.) სერჟანტი **სერგო თევდორეს ძე ჩადუნელი** (1923 წ.), რიგითი ჯარისკაცი **კონსტანტინე ალექსის ძე ძორაშვილი** (1920 წ.), რიგითი **გრიგოლ გიორგის ძე სარჭველაძე** (1916 წ. ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგოეთიდან), რიგითი **მიხეილ ბორისის ძე კაჭახიძე** (1927 წ.), სერჟანტი **ნიკოლოზ ივანეს ძე ხატიაშვილი** (1920 წ. სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირიდან), წითელარმიელი **გალაქტიონ სამსონის ძე გეგუჩაძე** (1915 წ. წულუკიძის რაიონის სოფელ გუბიდან), **ნიკოლოზ ალექსის ძე დევაძე** (1905 წ. ბორჯომის რაიონის სოფელ კორტანეთიდან), 654-ე მსროლელი დივიზიის რიგითი მებრძოლი **პოლიკარპე გიორგის ძე კლდიაშვილი** (თერჯოლის რაიონის სოფელ ბარდუბნიდან); **ვლადიმერ სიმონის ძე ხელაძე** (1907 წ.), რიგითი **დავით ალექსის ძე ზუციშვილი** (1924 წ.), რიგითი **ალექსი იოსების ძე ჩხუბიანაშვილი** (1900 წ.), სერჟანტი **ვლადიმერ ნესტორის ძე მელქაძე** (1910 წ.), სერჟანტი **ვახტანგ მიხეილის ძე ტაბატაძე** (1912 წ.), **გალაქტიონ სამსონის ძე გეგუაძე** (1915 წ.). რიგითი მებრძოლი **ალექსი ელისეს ძე კუტალეიშვილი**, ვ. ლ. ეპიტაშვილი.

ლ. ხუბულური.

* * *

სურათზე: საძმო საფლავზე ორიოლის ოლქის სოფელ ჩერნიში.

ვაჟთა 47-ე...

მინსკში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა 47-ე საკავშირო ჩემპიონატი. მეექვსე ტურში კუპრეიჩიკმა დაამარცხა ანიკაევი, ტალმა — ცეშკოვსკი. ბალაშოვ-ვაგანიანის, რაშკოვსკი-გელერის და იუსუპოვ-ბელიავსკის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო. მეშვიდე ტურში გელერ-იუსუპოვის, ლერნერ-ტალის, რომანიშინ-რაშკოვსკის, მაკარიჩევ-კასპაროვის და კუპრეიჩიკ-ბელიავსკის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო, ხოლო თამაზ გიორგაძის ავადმყოფობის გამო მისი შეხვედრა ცეშკოვსკისთან არ შედგა. გათამაშებას 5,5 ქულით ლიდერობს კუპრეიჩიკი.



მედლები, მედლები...

ფორტ-უერტში (აშშ) დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში. ქალთა შორის აბსოლუტური პირველობა მოიგო მინსკელმა ნელი კიმმა — 78,65 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა მაქსი გნაუკი (გდრ)—78,375, მესამეზე — მელიტა რუნი (რუმინეთი) — 78,325.

გათამაშდა მედლები ცალკეულ იარაღებზე ვარჯიშშიც. ოქროს მედლები მოიპოვეს რუმინელებმა — დუმიტრიცე ტურნერმა (ხტომა — 19,775 ქულა) და ემილია ებერლემ (თავისუფალი ვარჯიში — 19,8). ძელზე ვარჯიშში გაიმარჯვა ვერა ჩერნამ (ჩეხოსლოვაკია, 19,8 ქულა). ორძელზე ვარჯიშში ოქროს მედლები მიიღეს მაქსი გნაუკმა (გდრ) და იანხონგ მამ (ჩინეთი)—19,825-19,825 ქულა. მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ნელი კიმმა ცალკეულ იარაღებზე ვარჯიშში ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ვაჟთა შორის მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ლენინგრადელმა ალექსანდრე დიტიატინმა ყველას აჯობა ბჯენით ხტომაში (19,725 ქულა) და რგოლებზე ვარჯიშში (19,8). კურტ ტომასი (აშშ) უძლიერესი იყო ღერძზე ვარჯიშში (19,775). მანვე პირველი ადგილი გაიყო როლანდ ბრიუკნერთან (გდრ) ერთად თავისუფალ ვარჯიშში (19,8-19,8 ქულა). ტაიჭზე ვარჯიშში ყველას აჯობა უნგრელმა ზოლტან მადიარმა (19,825), ხოლო ორძელზე ვარჯიშში — ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენმა ბარტ კონერმა (19,725).

სატურნირო ორბიტა

ძიუდო. პარიზში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე 78 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ყველას აჯობა იაპონელმა სოზო ფუძიმ. თბილისელი შოთა ხაბარელი პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა. 86 კგ-მდე წონაში უძლიერესი იყო დეტლეფ ულში (გდრ). არ გაუმართლა რიგელ ალექსანდრე იაცკევიჩს — ისიც პრიზიორთა მიღმა დარჩა. სამაგიეროდ, თავი ისახელა კურსკელმა ნიკოლოზ სოლოდუხინმა (65 კგ-მდე). მან ოქროს მედალი მოიპოვა. 71 კგ-მდე წონაში პირველობა არავის დაუთმო იაპონელმა კიოტო კაცუკიმ. ამ წონაში წარმატებას მიაღწია მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტმა **თბილისელმა თამაზ ნამგალაურმა.** იგი ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

ფეხბურთი. მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელებმა, რომლებიც მაროკოში იმყოფებიან, მესამე ამხანაგური მატჩი გამართეს. ამჯერად მოსკოველებმა ქალაქ ტეტუანში ითამაშეს და დაამარცხეს ქვეყნის ჩემპიონატის ლიდერი „ტეტუანი“ — 5:0.

კალათბურთი. ლენინგრადში დამთავრდა პროფკავშირთა უძლიერესი ვაჟთა გუნდების ტურნირი. პირველობა მოიპოვა ლენინგრადის „სპარტაკმა“, რომელმაც ფინალური შეხვედრა მოუგო მინსკის რტის — 93:81.

ფინალისტთა წრე იკვრება

დამთავრდა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ტურნირი მესამე შერჩევით ჯგუფში. ამ ჯგუფში ესპანელებმა კვიპროსის ნაკრებს მოუგეს ანგარიშით 3:1, დააგროვეს 9 ქულა და ფინალის საგზური მოიპოვეს. ფინალური ტურნირის 8 მონაწილიდან 6 უკვე ცნობილია: ინგლისი, ესპანეთი, ჰოლანდია, ჩეხოსლოვაკია, საბერძნეთი და იტალია. დარჩენილი ორი საგზურის ყველაზე რეალური პრეტენდენტები არიან ავსტრია, ბელგია (მეორე შერჩევით ჯგუფში) და გფრ (მეშვიდე ჯგუფში).

ტელევიზია

11 დეკემბერი

თბილისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“, 18.00 — **კომკავშირულ თაობათა ზეიმი მიძღვნილი საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციისათვის ლენინის ორდენის გადაცემისადმი. ტრანსლაცია თბილისის სპორტის სასახლიდან.** შესვენებისას — „მოამბე“, 22.00 — „ვრემია“, 22.35 — ახალი ამბების სპეციალური გამოშვება.

მეორე პროგრამით: 15.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შენი ორდენები კომკავშირო!“, 16.55 — რუსული სკოლის მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 17.25 — განცხადებები (ფ.), 17.30 — მასწავლებლის საათი — ქართული ლიტერატურა, 18.15 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.45 — მხატვრული ფილმი „მოიტაცეს თამარ ქალი“ (ფ.).

მოსკოვი

პირველი პროგრამით (თბილისის დროით): 09.00 — „ვრემია“, 09.40 — დილის ვარჯიში, 10.05 — „პროვინციელი კოვალიოვა“. ფილმ-სპექტაკლი. დამთავრების შემდეგ — ახალი ამბები, 15.30 — ახალი ამბები, 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმები, 16.30 — ჩვენი ბაღი, 17.00 — მასწავლებელს — მუსიკის გაკვეთილი, 18.00 — დამრიგებელი. ტელეჟურნალი, 18.30 — მხიარული სტარტები, 19.15 — მეცნიერების ცხოვრება, 19.45 — დღის მსოფლიოში, 20.00 — ხალხური მელოდიები, 20.10 — დოკუმენტური ფილმი „მშვიდობისათვის“, 20.30 — მხატვრული ტელეფილმი „როგორ გამოვასწოროთ მამა“, 22.00 — „ვრემია“, 22.35 — მუსიკალური ცხოვრება. შესვენებისას (23.15) — დღის მსოფლიოში.

მეოთხე პროგრამით: 20.00 — ხელბურთი. ქალები. „ავტომობილისტი“ — „ლუჩი“, 20.45 — ბუნების სიყვარულით. ტელენარკვევი, 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“, 21.15 — საუბარი საერთაშორისო თემებზე. 22.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები, 22.40 — „მონეტა“. მხატვრული ტელეფილმი.

თეატრი

11 დეკემბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ლელა**; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **თავისუფალი თემა**; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **მარტოობის დღესასწაული**; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **სიურპრიზების დღე** (პრემიერა).

რედაქტორი
გ. ზედინეიშვილი.

„საბჭოთა ხელოვნება“ № 11

გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყოველთვიური ჟურნალის **„საბჭოთა ხელოვნების“** მორიგი მეთერთმეტე ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს კომკავშირის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ. აქვეა გამოქვეყნებული სტატია „მაღალი ჯილდო გვავალებს“.

ინგლისში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივის გასტროლებზე მოგვითხრობს ნ. გურაბანიძე წერილში „ტრიუმფი იდინბურგში“.

ჟურნალის ახალ ნომერში დაბეჭდილია აგრეთვე მ. ახმეტელის, ვ. ბერიძის, ვ. კიკნაძის, ვ. ითონიშვილის, ე. გალუსტოვას, დ. ჯანელიძის, ტ. თვალჭრელიძის, ა. ვასაძის, ა. იასტრებიცკაიას, ა. გეწაძის წერილები.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:
380096 თბილისი-96,
ლენინის 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-98-03, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-98, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 98-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 93-95-98, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-08-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობის სტამბა,
380096, თბილისი-96,
ლენინის ქ. 14.

◆

იბეჭდება ოფსეტური
წესით საგაზეთო
კორპუსში. ხოშარაულის, 29.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 02486

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20